

ს-ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
პედაგოგიური უნივერსიტეტი

დავით სართანია

შტუდიები ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო  
მეთოდოლოგიიდან

თბილისი  
2005

უკ (UDC) 930(479.22)  
ს 286

ნაშრომში განხილულია ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მეთოდოლოგიის  
სხვადასხვა საკითხები

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი ფარნაოზ ლომაშვილი

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი  
დოცენტი გია ჯოხაძე  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი  
დოცენტი გია ჩხიკვიშვილი

## შესავალი

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომის «ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლათ»-ს პირველი წიგნის გამოსვლის შემდეგ, 1916 წ. 18 მარტს, სერგი გორგაძე იოსებ ყიფშიძეს წერდა: «როცა ეგ წიგნი წავიკითხე და გადავდე გვერდზე - თვალწინ ბუმბერაზივით ოთხი სახე ამემართა სახე იოანე საბანისძის, ეფრემ მცირესი, ჟამთააღმწერლისა და ვახუშტი ბატონიშვილისა, რომელთაც შემდგომ ჩემს წარმოდგენაში განუყრელად შეუერთდა თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებით შეჭურვილი პიროვნება მათის ღირსეულის ისტორიკოს-დამფასებლისა ივანესი და ამგვარად ჩვენი საისტორიო მწერლობის განვითარება VIII-XX საუკუნეთა მანძილზე ამჟამად ჩემს გამოხატულებას წარმოდგენილი აქვს ამ შესანიშნავი ხუთეულის სახით, რომელსაც იწყებს იოვანე და ამთავრებს იოვანე! რასაკვირველია, მე ცრუმორწმუნე არა ვარ და რაღა თქმა უნდა, სახელების ამგვარი შეხვედრა შემთხვევით მოვლენად მიმაჩნია, მაგრამ თვითონ ხუთეულის მოვლენა კი ჩემის ფიქრით სრულიად კანონზომიერია, მხოლოდ ისეთს ღირსეულ წინაპრებს შეეძლოთ ჰყოლოდათ ასეთი ღირსეული მემკვიდრე, თანამოდასე, დამფასებელი» [41,169]. ასეთი წარმატება განაპირობა მისმა დიდმა ნიჭიერებამ, განსწავლულობამ, შრომისმოყვარეობამ და დასახული ამოცანისადმი მაღალმეცნიერულმა მეთოდოლოგიურმა მიდგომამ.

ზემოთდასახელებული ნაშრომში შემდეგნაირად დაახასიათა ივანე ჯავახიშვილმა ქართული საისტორიო აზრის განვითარების ძირითადი ეტაპები: «ქართული საისტორიო მწერლობისა და აზრის განვითარებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით: იოანე საბანისძეს, რომელმაც თავისი შრომა გარკვეულ გეგმაზე ააგო და ცხოვრების კერძო მოვლენაში საზოგადო მნიშვნელოვანი გარემოება შენიშნა და თავის თანამედროვეებსაც დაანახვა; ბასილ ზარზმელს, რომელსაც თხრობის წესისა და მეთოდების შესახებ საყურადღებო ცნობები მოეპოვება; განსაკუთრებით კი გიორგი მთაწმინდელს, რომელმაც საისტორიო მწერლობის მეთოდები ჩვენში უაღრესად განავითარა და მასობრივი მაგალითი შეჰქმნა; გიორგი ხუცესმონაზონს, რომელმაც ღვაწლის შედარებითი დაფასება პირველად შემოიღო ქართულ მწერლობაში და რასაკვირველია ეფრემ მცირე, ვითარცა საისტორიო მწერლობის მეთოდებისა და ტექნიკის საუკეთესო თეორეტიკოსსა და ჩვენში ანალოგიის მეთოდის შემომღებს; აგრეთვე დავით აღმაშენებლის შესანიშნავ ისტორიკოსსაც, რომელმაც ისტორიული შედარება სამოთხრობო მეთოდად აქცია და ნათლად შეიგნო, რომ სახელმწიფო მოღვაწის მოქმედების ნაყოფიერება მართო მის პირად ნიჭსა და მხნეობაზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ მისი ქვეყნისა და ერის კულტურულ მდგომარეობასა და პირობებზე; ისტორიკოს - ფილოსოფოს ნიკოლოზ კათალიკოზს და დასასრულ ქართველ დიდებულს მეცნიერს, ისტორიკოს, ბატონიშვილ ვახუშტს (ხაზგასმა ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს. დ.ს.), რომლის კრიტიკული და ისტორიული მეთოდები და თეორიული მსჯელობა საქართველოს სახელმწიფო და სოციალური ცხოვრების

უმთავრესი ხანებისა და დამახასიათებელი თვისებების შესახებ სწორედ რომ განსაცვიფრებელია» [23, 43-44].

წინამდებარე ნაშრომი ცალკეული ნარკვევებისაგან შედგება, რომელთაც ერთი თემა აერთიანებთ. ესაა მეთოდური მიდგომები და ხერხები, რომელთაც ივანე ჯავახიშვილი თავის სამეცნიერო შემოქმედებაში იყენებდა. ამ საკითხის ცალკე გამოყოფა და გაშუქება საჭიროა დიდი მეცნიერის სამეცნიერო დებულებების სწორად გასაგებად. ამიტომ ამ საკითხის შტუდირება სასარგებლო იქნება მომავალი ისტორიკოსისათვის, რომელნიც მეცნიერების ანბანს ეუფლებიან ან ამ დარგში პირველ ნაბიჯებს დგამენ.

## 1. ივანე ჯავახიშვილი ისტორიკოსის პროფესიის შესახებ

ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილმა თავისი მომავალი საქმიანობის ასპარეზად მეცნიერება და კერძოდ ისტორიკოსობა აირჩია, მაგრამ ისტორი-კოსობა არა ზოგადად, არამედ მან თავისივე ერის წარსულის ბნელით მოცული საკითხების გამომზეურება დაისახა მიზნად.

აი რას წერს უკვე მხცოვანი მეცნიერი 1937 წელს ლენინგრადში მყოფ ვარლამ დონდუას: არსებული ობიექტური მდგომარეობის გამო პეტერბურგის უნივერსიტეტის «აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ენების გარდა მე არაფერის შესწავლა არ შემეძლო. საქართველოს ისტორია მაშინ დ. ბაქრაძის წიგნით უნდა ესწავლა ადამიანს. საბანიძის «საქართველოს სამოთხე», თ. ჟორდანიას «ქრონიკების» I და II წიგნები, შიომღვიმის ისტორიული საბუთები და ე. თაყაიშვილის «სამი ისტორიული ქრონიკა» - აი, ეს იყო მაშინდელი ჩვენი ავლადიდება. მე საქართველოს ისტორია მაინტერესებდა. ამ დარგში კი არავინ მუშაობდა, ამიტომ მე თვითონ უნდა მეცადა გზის გაკაფვა; ისტორიის მეცნიერების რთული მეთოდოლოგიაც შემესწავლა, ტექსტების კრიტიკული განხილვაც მომეხერხებინა და მოპოვებული შედეგით ჩვენი ერის წარსული - უტყუარი და არა ზღაპრული - სურათის აღდგენა მეცადა. ამიტომ - ოფიციალურად აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე ჩაწერილი - ყოველთვის, როცა დრო მქონდა, ისტორიულ-ფილოლოგიური და იურიდიული ფაკულტეტის ლექციაზე დავდიოდი და ვსწავლობდი. ისტორია მე ფართო გაგებით მიტაცებდა და ჩემი მაშინდელი და ეხლანდელი რწმენითაც ისტორიკოსს საფუძვლიანი ფართო განათლება უნდა ჰქონდეს» [37]. (ხაზგასმა ყველგან ჩემია. დ.ს.).

ამ ციტატაში გამოთქმული მსჯელობიდან ორი ფრაზა ამოვიღოთ და გვერდი-გვერდ მოვათავსოთ: «მე საქართველოს ისტორია მაინტერესებდა» და «ისტორია მე ფართო გაგებით მიტაცებდა». ე.ი. სახელოვანი ისტორიკოსის ინტერესი ისტორიის მეცნიერებაში საქართველოთი შემოისაზღვრება, მაგრამ ეს ისტორია მას ფართო გაგებით აინტერესებს, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ზოგიერთი ცალკეული ფაქტის დადგენა კი არაა მისი მიზანი, არამედ არსებული და დადგენილი ფაქტებისა და მოვლენების ღრმა წვდომა და განზოგადება. აქედან გამომდინარე ან შეგნებული გაყალბება იყო ან შეუგნებელი უცოდინარობა, როცა ივანე ჯავახიშვილის ისტორიკოს-ფაქტოლოგად თვლიდნენ. მისი თუნდაც ერთი რომელიმე მონოგრაფიის თავიდან ბოლომდე ყურადღებით გადაკითხვა ამ აზრს გააბათილებდა, მაგრამ თუ თავად გავეცნობით

სახელოვანი ისტორიკოსის დამოკიდებულებას თავისივე წინამორბედების მიმართ, საკითხი უფრო ნათელი იქნება. არ შეიძლება გაუცნობიერებლად, გაუაზრებლად რომელიმე მოღვაწის ღირსებათა გარკვეული თავისებურებები აღმოაჩინო. აი, რას წერს ივანე ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძის მიმართ: «მისთვისაც ისტორია მარტო ფაქტების გროვა არ იყო. მას ისტორიული პროცესის საფუძველი და ამამოდრავებელი ძალა აინტერესებდა, ხოლო შემდეგ მოვლენათა შეფასებაც, ამასთანავე მისი რწმენით მთავარი ყურადღება შინაგანს, ე.ი. სოციალ-ეკონომიკურსა და კულტურის (ასეა დაბეჭდილი, ალბათ კულტურული, დ.ს.) პრობლემებს უნდა მიჰქცეოდა (ხაზგასმა ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს, დ.ს.) [29,80].

საკუთარი ერის წარსულის გამოკვლევას მარტო შემეცნებითი მშნიშვნელობა არა აქვს, არამედ იგი პრაქტიკული საჭიროებაცაა. კერძოდ ისტორია თვითშემეცნების და პირველ რიგში ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას და ფორმირებას უწყობს ხელს. სწორედ ამიტომ სჭირდებოდა ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილს ფართო განათლება და ისტორიაც ფართოდ ამიტომ იტაცებდა. ამას იგი მოგვიანებით ერთ-ერთ ნაშრომში გაამჟღავნებს: «ეროვნული თვითშემეცნების გაღვივებისა და გაღვივებისათვის, განსაკუთრებით კი განმტკიცებისათვის წარსულის ცოდნას აქვს დიდი მნიშვნელობა: ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოებს და იმავე დროს საჭირო სიღრმესა და საფუძვლიანობას ანიჭებს» (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) [26,399].

მაგრამ აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ზომიერებისა და პირუთვნელობის გრძნობამ არ გვიღალატოს. საკუთარი ერისადმი და ქვეყნისადმი მოჭარბებული სიყვარულის ხშირად ისეთი გადაცდომები მოჰყვება ხოლმე, რომლისგანაც თვით ცნობილი და გამოჩენილი პიროვნებანიც არ არიან დაზღვეული. ამიტომაც ისტორიკოსის მოვალეობა ერთი ორად მძიმეა - მისი სიტყვა ყოველთვის უნდა აღკვეთდეს ამდაგვარ ლაფსუსებს. ივანე ჯავახიშვილიდღი ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს ეკამათება, სამართლიანად უწუნებს მას «ადვოკატურ, გამოსარჩლებითი ისტორიის» წერის მოთხოვნას და ხაზგასმით ამბობს:»ისტორიკოსი მოვალეა მხოლოდ მეცნიერულად შეისწავლოს და გამოიკვლიოს ამა თუ იმ ერის წარსული, გამოიკვლიოს, რა და რა პირობებსა და მიზეზებზე იყო დამოკიდებული სახელმწიფო, მისი საზოგადოებრივი და ზნეობრივი განვითარება თუ წარმატების მიმდინარეობა. ის მეცნიერი, რომელიც მეცნიერების წინაშე თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს, ის უეჭველია იმავე დროს ქართველ საზოგადოებასაც სარგებლობას მოუტანს. იმიტომ რომ ყოველი განათლებული ეროვნებისათვის, რომელსაც თვითშემეცნება მოეპოვება, აუცილებლად საჭიროა იცოდეს თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია: უნდა იცოდეს, რასარკვილველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი» (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.) [27, 67-68].

ივანე ჯავახიშვილის პოზიცია მკვეთრია და ორლესულივით ბასრი. იგი იოტის ოდენა შესამღებლობასაც არ ტოვებს პატრიოტიზმის მომიზეზებით ყალბისმქმნელობა გამართლდეს. «ცხადია ადვოკატურ» ისტორიის დაწერა მხოლოდ იმ მეცნიერს შეუძლია, ვინც არავითარ ზნეობრივ მოვალეობას არა გრძნობს მეცნიერების წინაშე» აცხადებს ღვაწლმოსილი ისტორიკოსი [27,68]. შეიძლება მოგვეჩვენოს თითქოსდა ივანე ჯავახიშვილის მსჯელობაში მეცნიერება და სამშობლო ერთმანეთისადმი იყოს დაპირისპირებული და იგი პირველის მხარეს იჭერდეს. ვინც კი კარგად ჩაუკვირდება

დიდი მეცნიერის თითოეულ სიტყვას, ამდაგვარი დასკვნისათვის არავითარი საფუძველი არ შერჩება ხელთ. ივანე ჯავახიშვილი პირუთვნელობის მომხრეა მეცნიერებაში. სხვაგვარად მეცნიერება მეცნიერება არ იქნებოდა. მეცნიერება ხომ ჭეშმარიტების ძიებაა და თუ ჭეშმარიტების ნაცვლად მეცნიერი სიყალბისაკენ მიდრეკა, მაშინ მის მეცნიერებასაც საფუძველი გამოეცლება. მაგრამ იქნებ სამშობლოს სიყვარული ავალდებულებს სწავლულს შეგნებულად წავიდეს ამ გზით? ამ კითხვაზე ივანე ჯავახიშვილი უარყოფით პასუხს იძლევა, რადგან ამდაგვარი მოქმედება არავითარ სარგებლობას არ მოუტანს სამშობლოს. «მაგრამ იქნებ მამულიშვილური გრძნობა» მხურვალე სიყვარული სამშობლოსადმი აიძულებს მეცნიერს «გამოსარჩლებითი» გაზვიადებული ისტორია წეროს ხოლმე? . . . ამგვარი ისტორია უნაყოფოა ხოლმე პოლიტიკაში, გაზვიადებულ ადვოკატურ ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს, ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს თავისი ეროვნული შელახული გრძნობა დაიკმაყოფილოს და დამშვიდდეს. ხოლო ამგვარი სურვილი აზრდაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს, რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს . . . ქართველმა ისტორიკოსმა სრულიად პირუთვნელად უნდა შეისწავლოს თავისი ერის წარსული, პირუთვნელადვე უნდა წარუდგინოს თავის სამშობლოს წარსული თანამემამულეებსა და უცხოელებსაც, რადგან მას არ უნდა დაავიწყდეს, რა დიდი ღვაწლიც უნდა მიძღოდეს ეროვნებას წარსულში, თუ იგი აწმყოში არას წარმოადგენს, ბრწყინვალე წარსული ვერას უშველის (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) . . . აწმყო მხოლოდ მხედველობაში მიღებული, აწმყო კულტურული» [27,68].

აწმყო რომ კეთილი იყოს და მომავალიც საიმედო, სათანადო გარჯაა საჭირო. ივანე ჯავახიშვილის აზრით ისტორიკოსის შრომა მის პირუთვნელობაზე უნდა იყოს აგებული. მხოლოდ იგი მოიტანს სასურველ შედეგს. თუნდაც რომ გამოკვლევამ ქართველ მეცნიერს დაანახოს, რომ იმის სამშობლოს წარსული თავისებურსა და დიადს არაფერს წარმოადგენს, მაინც იგი არ უნდა შეუშინდეს თავისი დასკვნის გამოქვეყნებას» [27,68. აცხადებს დიდი მეცნიერი და იქვე განმარტავს: „თუ წარსულში რამე ნაკლი გვქონდა, ამას დამალვა კი არა გამომჟღავნება უნდა: მხოლოდ იმას, ვინც თავის ნაკლს შეიგნებს, შეუძლია იგი თავიდან მოიშოროს» [27,69].

საყურადღებოა რომ ივანე ჯავახიშვილი იშველიებს ილია ჭავჭავაძის ლექს თავისი პოზიციის განსამტკიცებლად. იგი წერს: „ჩვენ მიძინებულ საზოგადოებას შეწუხებისა და კრიტიკისა ეშინიან და ყველგან მტრები ელანდება. განა ამნაირივე გარემოებამ არ ათქმევინა ჩვენს ნიჭიერს მგოსანს ი. ჭავჭავაძეს ეს საუცხოო ტაეპი:

„ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქართლისას ამბობს,  
ჩვენს ცუდს არ მალავს - ეგ ხომ ცხადი სიძულვილია,  
ბრიყვნი, ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე ცნობს  
ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!» [27, 86-87]

## 2. ივანე ჯავახიშვილი ევროცენტრიზმის წინააღმდეგ

ერის ცხოვრებაში ნაკლის შემჩნევა მისი საგულდაგულო კვლევა-ძიების გარეშე შეუძლებელია. ეს კვლევა-ძიება კი თვისობრივად ახალ სიმაღლეზე უნდა დადგეს, თორემ ის თითო-ოროლა ნაშრომი, რომლებიც ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო

ასპარეზზე გამოსვლამდე იყო გამოცემული სახარბიელო სულაც არ იყო. ახალგაზრდა ივანე ჯავახიშვილს ყოველივე ეს ძალზე ღრმადა აქვს გაცნობიერებული და დიდი მომზადებითა და სიდიინჯით იწყებს ქართველი ერის ისტორიის ტოტალურ შესწავლას. ასეთი დიდი მოცულობის საპასუხისმგებლო საქმის შესასრულებლად, რა თქმა უნდა, საჭირო იყო გარკვეული თეორიული საფუძვლების შექმნა, რომელიც საფუძვლად დაედებოდა მომავალ კვლევა-ძიებას. ამავე დროს მასში უნდა გათვალისწინებული ყოფილიყო ის მიღწევები, რაც საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებით არსებობდა. ყოველივე ეს უახლესი მეთოდოლოგიით უნდა დამუშავებულიყო. სწორედ ამ მიზნით ივანე ჯავახიშვილი იწყებს კაპიტალურ შრომათა სერიაზე მუშაობას, რომელსაც ასე უწოდა: «ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა», მაგრამ სანამ ამ ნაშრომის წერას შეუდგებოდა, მან სრულიად ახალგაზრდამ - 26 წლისამ, 1902 წ. 18 ნოემბერს პეტერბურგის უნივერსიტეტში წაიკითხა შესავალი ლექცია «აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოსა და სომხეთის ისტორიის მონაცემები» სახელოვანი მეცნიერი ამ ლექციის პირველსავე წინადადებაში ეხება იმ პროგრამის მონახაზს, რომელსაც შემდეგ მთელს თავის ცხოვრებას მიუძღვნის:

«ბატონებო! შესავალ ლექციას ჩვეულებრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხოლმე: იგი თითოეული ახალგაზრდა სწავლულის, როლელიც უნივერსიტეტში ერთ-ერთ კათედრის წარმომადგენლად გამოდის, სამეცნიერო პროგრამის გამომხატველია, ამასთანავე, იგი იმ მიმართულების დამახასიათებელია, რომელსაც ადგია თავის სპეციალურ საგანში, რომელიც მის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულების არსებითი დამახასიათებელი იქნება». (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.) [28,53]

კონკრეტულად რაშია ამ პროგრამის არსი?

იმ პერიოდში, როცა ივანე ჯავახიშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიოდა სრულყოფილად შესწავლილი იყო მხოლოდ ევროპის ქვეყნების ისტორია, მკვლევარებიც ევროპელები იყვნენ, რომლებიც სრულიადაც არ იცნობდნენ აღმოსავლეთს ან ცუდად იცნობდნენ. ამიტომაც მეცნიერებაში ევროპრცენტრიზმის იდეა ბატონობდა, რომლის მიხედვითაც პროგრესის მატარებელი და შემქმნელები ევროპელები არიან, აღმოსავლეთის მკვიდრნი კი სამუდამო ჩამორჩენილობისადმი არიან განწირულნი. მათ არც არასდროს შეუქმნიათ რაიმე ფასეული და არცაა მოსალოდნელი ოდესმე შექმნან. აი როგორ ხატავს ამგვარ შეხედულებით შექმნილ სურათს ივანე ჯავახიშვილი: «ისტორიის ფილოსოფიაში მოიპოვება რამდენიმე ასეთი ჰიპოთეზა, საქმის შემფასებელი და ნამდვილ მოვლენათა დამაბუნდოვნებელი. ერთი მათგანი და, შეიძლება ითქვას, მთავართაგანი გახლავთ რასის ანუ მოდგმის თავისებურებათა და რასის სულის ანუ რაობის განსაზღვრა. კაცობრიობის სამ დიდ მოდგმად: ინდოევროპულ, სემიტურ და მონღოლურ მოდგმად დანაწილება მოითხოვდა იმ სულიერი განსხვავებული ნიშნების დადგენას, რომელიც ზემოხსენებული სამი ქვეყნის მიმართ ყოველთვის და ყველგან მოქმედებდნენ. და აი აქ, მოდგმათა განმასხვავებელი ნიშნების გამოკვლევისას, საოცარი სურათი წარმოგვიდგება: დადგენილია სხვადასხვა მოდგმისათვის ათვისების, შემოქმედების უნარისა დაგონებრივი ნიჭის გარკვეული ზღვარი და ზღუდე, დადგენილია ამ მოდგმათა მორწმუნეობის ხარისხი და ხასიათი, გარკვეულია ამა თუ იმ მოდგმის ხალხების ბუნებრივი, თანდაყოლილი მიდრეკილება ერთ წერტილზე გაყინვისა, უძრაობისა ან

კიდევ მათი მისწრაფება პროგრესისა და სოციალური განვითარებისაკენ. გამოდის ხალხთა ბედისწერის წინდაწინვე დადგენის მსგავსი რაღაცა: ერთნი რატომღაც დაჩაგრულნი არიან განგებისაგან, მეორენი ვერ ასცილდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების პრმიტიულ ფორმებსა და გონებრივი განვითარების უსუსურ ყოფამდგომარეობას: მაშინ როდესაც ერთნი ყოველთვის გულგრილნი არიან რელიგიის მიმართ, მეორეთა ხვედრია ბედისწერისაგან დადგენილი, შეუქმნან კაცობრიობას რელიები, მესამენი ბედისაგან გალაღებულ-გათამამაბულნი არიან და მარტო აქვთ მინიჭებული ძალა და ღონე მიაღწიონ ყოველმხრივ განვითარებას.

რაკი ინდოევროპული მოდგმის მეტი ნაწილი ბინადრობს უმთავრესად ევროპაში, ხოლო კაცობრიობის დანარჩენი ჯგუფები მოსახლეობენ აღმოსავლეთში, ამიტომ ამის ძალით აღმოსავლეთის ყველა კულტურის საერთო ნიშნად ითვლება მეტად თუ ნაკლებად ერთ წერტილზე გაყინვა, კარ-ჩაკეტილობა, წოდებათა და კლასთა უქონლობა, წოდებრივსა და კლასობრივი ბრძოლის არქონა, ერთი სიტყვით სულიერი და სოციალური უძრაობა (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) [28, 54-55].

ამ ძირშივე მცდარი შეხედულების გამაბათილებელი მაგალითები ამავე ლექციაში მოიყვანა ივანე ჯავახიშვილმა საქართველოს ისტორიიდან, მაგრამ ეს იყო მხოლოდ საწინააღმდეგო აზრის არსებობის სამართლიანობის ილუსტრაცია. საჭირო იყო დიდი სამუშაოს ჩატარება და აღმოსავლეთის შესწავლის იმ დონემდე აყვანა, რა დონეზეც მეცნიერება ევროპის შესწავლის საქმეში იდგა. ამიტომაც ივანე ჯავახიშვილი სახავდა ამოცანას „რომ შესწავლილ და დადგენილ იქნას ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც წარმოადგენენ აღმოსავლეთის ხალხთა სოციალური ცხოვრების შემაერთებელ რგოლებს, რომელთაც მიუხედავად რასობრივი წარმოშობის სხვაობისა დ პოლიტიკური განვითარების დაბრკოლებისა, მაინც შეჭქმნეს მათი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი კულტურის ეგოდენ მსგავსი ნიშნები. ეს ამოცანა ყველა ორიენტალისტ-ისტორიკოსისათვის საერთო, საზიარო ამოცანად აღიარებული მიტომ შეიძლება იქნას, რომ იმ დრომდე, სანამ საკითხი არ გაშუქდება და არ გამოირკვევა, არავითარი ლაპარაკი არ შეიძლება იქნას აღმოსავლეთის საერთო, ზოგად ისტორიაზე იმ გაგებით, რა გაგებაც აქვს დასავლეთ ევროპის ზოგად ისტორიას, ვინაიდან იქ არსებობენ გამაერთიანებელი ფაქტორები, იქ არსებობდა საერთო კულტურული ცხოვრება. თუ ეს ამოცანა არ იქნა შესრულებულ, გადაწყვეტილი, ისე, უამისოდ აღმოსავლეთის ისტორიაც და ეგრეთწოდებული მსოფლიო, ანუ ზოგადი ისტორია იქნება მარტო ცალკეულ ხალხთა ან სახელმწიფოთა ისტორია» (ხაზგასმა ჩემის, დ.ს.) [28,63]

ივანე ჯავახიშვილის მიერ წაკითხულ ამ შესავალ ლექციას თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ საპროგრამო სიტყვა. მართალია მას მანამდეც ჰქონდა ჩატარებული მნიშვნელოვანი სამეცნიერო კვლევა-ძიება და ნაშრომებიც ჰქონდა გამოქვეყნებული, მაგრამ ეს ლექცია უნდა ჩაითვალოს ჯავახიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის დიდი გზის ოფიციალურ განცხადებად და დასაწყისად. აი, თურმე როგორი “ფართო გაგებით იტაცებდა” ისტორია ივანე ჯავახიშვილს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსასვლელად. მას სურდა, რომ ქართველი ერის ისტორიის შესწავლა იმ დონეზე დამდგარიყო, რომ განზოგადებული ნაშრომების წერა ადვილი გამხდარიყო. თავის “ქართველი ერის ისტორიის III გამოცემის წინასიტყვაობაში გულისტკივილით აღნიშნავდა: «საქართველოს ისტორიის მეცნიერულ, კრიტიკულ შესწავლას ჯერ იმ

დონეზე არ მიუღწევია, რა დონეზედაც ძველი საბერძნეთის, რომისა და დასავლეთი ევროპის ისტორია იმყოფება, რომ ისტორიკოსმა ძირითადი ფაქტების აუცილებლობის წყალობით თითქმის სრულებით დაუსაბუთებლად წეროს და მარტო ზოგადი პრობლემების განხილვით იყოს გატაცებული» [19,40]. ივანე ჯავახიშვილი ხაზგასმით ამბობს: „მეცნიერ ისტორიკოსს უნდა ახსოვდეს ის ზნეობრივი პასუხისმგებლობა, რომელიც მას აწევს და რომელიც მას ავალებს თავისი დაუსაბუთებელი ჰიპოთეზები ისტორიის სინამდვილედ არ წრმოადგინოს» [19,40].

როცა დასავლეთ ევროპის ისტორიის დარად იქნებოდა აღმოსავლეთის ქვეყნების და მათ შორის საქართველოს ისტორიაც გამოკვლეული, მაშინ შესაძლებელი გახდებოდა თეორიული საკითხებიც უკეთ გაშუქებულიყო ანუ ისტორიის ფილოსოფიის ის საკითხები წარმოჩენილიყო, რომელნიც ივანე ჯავახიშვილის აზრით წარმოადგენს საისტორიო „მეცნიერების უზენაესს მიზანს». [27, 68] მ. დუმბაძე აღნიშნავს: „ავტორი, «უფრო სრულყოფილი» ისტორიის დაწერას შესაძლებლად თვლიდა, მეორე საფეხურზე - ფაქტობრივი მასალის ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ. ფაქტობრივი ძიებისადმი მიძღვნილ ნაშრომს ივ. ჯავახიშვილი “საისტორიო გამოკვლევას” უწოდებდა; ნამდვილი ისტორია, მისი აზრით უნდა დაწერილიყო მაღალ თეორიულ დონეზე, განტვირთული ფაქტების კრიტიკული განხილვის შესახებ მსჯელობისაგან” [7, 27] სწორედ ფაქტების კრიტიკულ და სკრუპულოზურ შესწავლასა და დადგენის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი იმ ამოცანის განხორციელება, რა მიზნითაც იქნა ჩატარებული მთელი ეს საინტერესო კვლევა-ძიება - გაგვევო საზოგადოების აღმავლობის თუ დაქვეითების, საერთოდ „ისტორიული პროცესის საფუძველი დაამამოძრავებელი ძალა” რაში მდგომარეობდა. სწორედ ამიტომ იყო განმაზოგადებელი ნაშრომის - «ისტორიის ფილოსოფიის» დაწერა საისტორიო კვლევა-ძიების „უზენაესი მიზანი». ამ აზრს მკაფიოდ გამოხატავს კიდევ ერთხელ საქართველოს სახელმწიფოს დაშლის პროცესზე მსჯელობის დროს: „რამდენადაც უფრო დიდი იყო თავზე დამტყდარი უბედურება და რამდენადაც უფრო ფართოდ იყო მოდებული ხალხში და ღრმად ჩამჯდარი განსაცდელით გამოწვეული უიმედობა და სასოწარკვეთილება, ამასთანავე რამდენადაც სუსტი იყო სახელმწიფოს ხელისუფლება და ძლიერი კულტურული დაქვეითება, იმდენად უფრო ადვილად და სწრაფად მიმდინარეობდა ხოლმე და მიმდინარეობს სახელმწიფოებრივი დაშლის პროცესი. სხვადასხვა ხელშემწყობ თუ დამაბრკოლებელ, თანამდევ და მერმინდელ გარემოებებზე არის რასაკვირვლია აგრეთვე დამოკიდებული, რომელ საფეხურამდე დაქვეითდება ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი სახელმწიფოებრიობა. ამ საგანზე სიტყვის გაგრძელება უადგილო იქნებოდა, რადგან ეს ისტორიის ფილოსოფიის საკითხია”, [20, 403-404] ამ საკითხის გაშუქებას კი საგანგებოდ შესწავლის შემდეგ გვპირდებოდა «საქართველოს, სომხეთის, სპარსეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაზე დამყარებულ დაკვირვებათა გათვალისწინებით, ისტორიის ფილოსოფიის ყველა საკითხების საგანგებოდ განხილვას ვვიქრობ” - წერდა სახელოვანი ისტორიკოსი. [10, 404] რა ბედნიერი ვიქნებოდით, ამის შესრულება მოესწრო ავტორს, რომლის ძირითადი საკითხები ალბათ მის გონებაში მომწიფებულ-მოაზრებული იყო.

ამ დიდ სამეცნიერო ამოცანას ივანე ჯავახიშვილი საკუთარი ერის მომავალს უკავშირებდა. უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ საქართველოს ბედი აწუხებდა და ამიტომაც

მოხზავდა ასე ფართო პრობლემატიკას, რომლის ხორცშესხმა მის ერს დაუმკვიდრებდა იმ ადგილს სხვა ერთა შორის, რომელსაც საუკუნეობრივი ბრძოლითა და შრომით იმსახურებდა. სწორედ ამიტომ დაარსა თბილისში უნივერსიტეტი და როგორც სამართლიანად მიუთითებდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი, რომელმაც განსაზღვრა არა მარტო საისტორიო მეცნიერების, არამედ საერთოდ მთელი ქართული მეცნიერების შექმნა-ჩამოყალიბება [2, 344].

### 3. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მეთოდის მომარჯვების შესახებ

როგორც დიდ მეცნიერს შეშვენის, არ შეიძლება ივანე ჯავახიშვილს საგანგებო ყურადღება არ მიექცია სამეცნიერო მეთოდის საკითხებისათვის. ეს მაშინ მით უფრო აქტუალური საკითხი იყო, რადგან ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლამდე და მის მერეც წარუმატებულობის მიზეზი ხშირად მეთოდოლოგიური ხარვეზი გამხდარა.

„ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა»-ს I წიგნის შესავალში დიდი მეცნიერი აღნიშნავდა: «სამწუხაროა, რომ ჩვენში სრულებით შეგნებული არა აქვთ და არც ჰქონდათ, რომ თვითული ძველი საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნება და მედასეობა. მისი წყაროების თვისება. ჟამთააღმწერლის წერის წესი და მეთოდები» (ხაზგასმა ყველგან ჩემის დ.ს.) [23, 25]

თავის საკვლევადიებო არსენალში ივანე ჯავახიშვილი იყენებდა მის დროს ევროპულ მეცნიერებაში ცნობილ თითქმის ყველა მეთოდს, როგორცაა ისტორიულ-შედარებითი, კრიტიკული (საისტორიო-ფილოლოგიური), რეტროსპექტული, ინდივიდუალიზაციისა და გენერალიზაციის, ანალოგიისა და სხვა მეთოდები. ეს საკითხები სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდაა გაშუქებული. (გ. ყორანააშვილი, [15] პ. რატიანი [14], მ. დუმბაძე [17], გ. იობაშვილი [10]) და რამდენადაც ჩემი კვლევის ამოცანას მათი განხილვა არ შეადგენს, მათზე საგანგებოდ არ შევჩერდები. ავლნიშნავ მხოლოდ, რომ ივანე ჯავახი-შვილისათვის რომელიმე მეთოდი შაბლონი არ არის, რომელსაც საკვლევ მასალას მიუყენებ და დასკვნები ავტომატურად მიიღება. მეთოდი ხომ იარაღია დასახული მიზნის მისაღწევად, მაგრამ ამ იარაღის გამოყენებას, სათანადო ცოდნასთან ერთად, ალღოც სჭირდება, რომ მეთოდი მართლაც შაბლონად არ იქცეს. მკვლევარმა საკვლევ მასალისა და თავისი მსოფლმხედველობის შესაბამისად უნდა შეარჩიოს კვლევის მეთოდი, რომ შედეგი წარმატებული იყოს. ამის შესახებ მეტად მნიშვნელოვან მოსაზრებას ვხვდებით სახელოვანი მეცნიერის პირად არქივში: „შედარებითი მეთოდი და ანალოგია თუმცა ფრიად საყურადღებო და ძვირფასია, - წერს ივანე ჯავახიშვილი, - მაგრამ ამასთანავე, თუ მისთვის გარკვეული საზღვრები არ იქნა მიჩნეული, იგი შეიძლება მრავალი შეცდომის წყაროდ იქცეს. რადგან ისტორიულ მოვლენათა სრული იგივეობით გამეორება შეუძლებლად არის ცნობილი და მერმინდელი წინადელისაგან, მსგავსების გარდა მაინც არსებითად განსხვავდება, თვალაღებით სხვადასხვა ერთა სხვადასხვა დროის დაწესებულებათა შედარება უმართებულო რამაა და ადვილად შეაცდენს მეცნიერებას. შედარება მხოლოდ სხვადასხვა ერთა ერთგვარის საფეხურებისა შეიძლება. ამასთანავე რადგან, წარმატების

გარდა და მაგიერ, ერი შეიძლება დაქვეითდეს და თითქოს პირველყოფილ მდგომარეობამდე დაქვეითდეს და, აღნიშნული მიზეზის გამო, მაინც ეს უკუქცევითი [მოვლენა] მეორე თუ მესამე გზითი ყოფილიყო შეიძლება. [მაგრამ] თავდაპირველი საფეხურისაგან უეჭველია მაინც უნდა განსხვავდებოდეს, ამიტომ შედარების დროს ეს გარემოებაც უნდა გათვალისწინებული იყოს და თავდაპირველი თავდაპირველს შეედაროს».<sup>1</sup> [35, საზოგადო შესავალი ფ.1].

ივანე ჯავახიშვილი მოითხოვს და თავის კვლევა-ძიების პროცესში მკაცრად იცავს შემდეგ წესს: კვლევის დაწყებამდე, მეთოდური საკითხი უნდა იყოს გამორკვეული. ეს დებულება მკაფიოდ გამოჩნდა ქართველთა და ჩრდილო კავკასიალთა უძველესი ფესვების ენობრივი მასალით განხილვის დროს. მანამდე ამ საკითხში წარუმატებლობის მიზეზად სწორედ მეთოდოლოგიური შეცდომას მიჩნეული. აი, რას წერს ამის შესახებ თავად მეცნიერი: «უეჭველია, შეგროვილ-ჩაწერილი მასალით ცალმხრივობა მარტო მოუცლელობით არ აიხსნება, არამედ, იმ გარემოებითაც, რომ ენების მკვლევარნი მეთოდოლოგიურ საკითხს არ ჩაჰფიქრებიათ და მუშაობის დაწყებამდის გამორკვეული არ ჰქონიათ (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) თუ სახელდობრ, რომელი ლექსიკური მასალის მიხედვით სჯობს და უნდა კიდევაც აწარმოოს მეცნიერმა გამოუკვლევ ენის შესწავლა [24,99].

მეცნიერი სწორედ არჩეული მეთოდის უქონლად, დავით გურამიშვილისეული მეტაფორა რომ ვიხმაროთ, «უხორთუმო სპილოს» ჰგავს. ივანე ჯავახიშვილი ამ საკითხს ყოველთვის ხაზს უსვამდა და იგი ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა ქართველი ერის უძველესი ისტორიის საკითხების გაშუქებისას. თავდაპირველად ივანე ჯავახიშვილი ნ. მარის შეხედულებებს იზიარებდა და მასვე ეყრდნობოდა. «როდესაც «ქართველი ერის ისტორიის» I წიგნს ვსწერდი, - აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი, - ქართულ-ქართველურის ლინგვისტიკურ საკითხებზე მსჯელობის დროს, პროფ. ნ. მარის ნაშრომებს და თეორიას ვემყარებოდი, რომელიც მაშინ შეუმცდარად მეჩვენებოდა. I წიგნის მეორე, გაფართოებულს გამოცემაზე მუშაობამ უკვე დამარწმუნა, რომ ქართულს სემურობის თეორიის დასაბუთება არც ისე მტკიცე იყო, როგორც წინათ მეგონა და არა ერთი ფრიად დამაფიქრებელი გარემოება და მოსაზრება მას მეტად სათუოდა ხდიდა» [24, XI]. ამ თეორიის «უნაყოფობის ერთ მიზეზთაგანს იმ მეთოდოლოგიური პრინციპების

<sup>1</sup> ეს დებულება ივანე ჯავახიშვილმა წარმატებით გამოიყენა «შეყრილობის» ინსტიტუტის ანალიზისას. «ქართული სამართლის ისტორიაში» სახელოვანი მეცნიერი აღნიშნავს რომ «საგვარეულო წეს-წყობილება . . . კაცობრიობის განვითარების თითქმის პირველ საფეხურთაგანია» [22,140], მაგრამ შესაძლებელია რომ ძვ. ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის მიერ აღწერილი საქართველოს (უფრო კონკრეტულად იბერიის) «საგვარეულო წეს-წყობილება პირველადი კი არ იყოს, არამედ მეორადი, ან მესამე გზისა» [22,140] ამ საკითხის გადამუქებლად მან მრავალი დოკუმენტი განიხილა და ბოლოს დაასკვნა: «ამ საბუთებიგანა ჩანს, რომ შეყრილობისადმი მისწრაფება და პროცესი ქართველი ერის ყველა წრეში იყო უმადლესითაგან მოყოლებული სოფლებამდე. ცხოვრების უშიშრების შესაქმნელად გაყრილ-დაშორებული წევრები საერთო გასაჭირის დასაძლევად შეერთება-შეკავშირებაზე ზრუნავდნენ. ამნაირად გაყრილი და დაშლილი ოჯახი ან საგვარეულო კვლავ ერთდება, მამულს აერთიანებს და საერთო მეურნეობის წარმოების იწყებს. ამასთანავე სახელის ან გვარის უფროსს ირჩევენ, რომელიც ძველი დროის მამასახლისის მსგავსად საერთო საქმეებს ხელმძღვანელობს და არიგებს. სწორედ ასეთ პირობებში და ამ გზით გვაროვნული წეს-წყობილება ერთხელ დაშლილი შეიძლება კვლავ განახლდეს და სოციალური ცხოვრების ისევ ძირითად მოვლენად და ქვაკუთხედ დაწესებულებად იქცეს. ამისათვის საკმარისი იყო მხოლოდ რომ ის გაჭირვება და გვაროვნობის დაყოფის პროცესის შემაფერხებელი გარემოება შედარებით ხანგრძლივი ყოფილიყო. ასეთ მდგომარეობაში კი ჩვენი ერი არა ერთხელ ყოფილა: საქართველოს პოლიტიკური ბედის ტრიალი მრავალჯერ ყოფილა უკუღმართი და სწორედ ამიტომაც გაყრილობის პროცესს შეფერხებულა და შეყრილობა დაწყებულა». [22,143-144]

გათვალისწინებაც შეადგენდა, რომელთა გამოყენებით ეს უადრესად რთული აგებულების ენები უნდა გამორკვეული ყოფილიყო» [24, XII]. ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ნ. მარმა დიდი ენერჯია შეაღია ქართულს, ქართველურს და კავკასიური ენების ურთიერთობის საკითხების კვლევას, მაგრამ ეს პრობლემა გადაუჭრელი დარჩაო. “ამ სფეროში მისი (ე.ი. ნ. მარის დ.ს.) დაუცხრომელი ცდის უნაყოფობა მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ სამეცნიერო მეთოდოლოგიის უგულვებელყოფით დასახული მიზნის მიღწევა არ შეუძლიან (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) ისეთი არაჩვეულებრივი ნიჭისა და დაუშრეტელი ენერჯიის პატრონს და მრავალ ენათა მცოდნესაც-კი, როგორც აუცილებლად აკად. ნ. მარია” [24, 76].

თუ დავსვამთ ასეთ კითხვას, რისი წყალობით შეძლო ივანე ჯავახიშვილმა ესოდენ მონუმენტური შენობის აგებაო და ვუპასუხებთ დიდი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის შედეგად, თუმცა მართალი ვიქნებით, მაგრამ პასუხი სიზუსტესა და სისრულეს იქნება მოკლებული. ივანე ჯავახიშვილის წარმატებული სამეცნიერო მუშაობა მარტო დიდ ნიჭსა და შრომისმოყვარეობის შედეგად არ მიიღწეოდა. არც ნიჭიერებით და არც შრომისმოყვარეობით ჩამორჩებოდა ივანე ჯავახიშვილს მისი მსაწავლებელი ნიკო მარი, მაგრამ მან სიცოცხლეშივე ბევრჯერ იწვინა სამეცნიერო მარცხი, რომელსაც თავად აღიარებდა. მიზეზი ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო წარმატების, მიუხედავად მეცნიერების განვითარების კვალობაზე თანდათანობით ბევრი რამის გადაფასებისა, სწორად შერჩეული სამეცნიერო კვლევა-ძიების მეთოდოლოგია გახლდათ. ეს გარემოება შესანიშნავად ჰქონდა გათვალისწინებული თავად სახელოვან მეცნიერსაც, რომელიც აღნიშნავდა: «იმედი მაქვს, რომ მოპოვებული შედეგის მთავარი ნაწილი, ძირითდი დებულებანი, არ უნდა იყოს მცდარი. მაგრამ თუნდაც ბედმა მიმტყუენოს და ჩემი ეს მოლოდინი მომავალში არ გამართლდეს, მაინც ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამ მეთოდოლოგიური გზით და ამნაირი მასალის ანალიზით არის იმ მრავალ-საუკუნოვანი ამოცანის გადაჭრა შესაძლებელი, რომელსაც ე.წ. კავკასიის ენების ბუნებისა და ნათესაობის საკითხი წარმოადგენს» [24, XIV]. ეს გამონათქვამი კონკრეტულად ერთ საკითხს - ქართული და კავკასიური ენების ბუნებასა დანათესაობას ეხება, მაგრამ იგი შეიძლება განვაზოგადოთ და მეცნიერის მთელს შემოქმედებაზე გავავრცელოთ.

რა ასეთ უნივერსალურ მეთოდს ფლობდა ივანე ჯავახიშვილი? ივანე ჯავახიშვილი იყენებდა თავისი დროისათვის ევროპულ მეცნიერებაში ცნობილ ყველა მეთოდს. მაგრამ ამ ყველასათვის ცნობილ მეთოდთა გამოყენება არ გახლდათ მთავარი, როგორც ზემოთ ითქვა, მეთოდი შაბლონი არ არის, რომელსაც კვლევის ობიექტს მივუყენებთ და უტყუარი პასუხი თან გვექნება. მეთოდის შერჩევა საკვლევ ობიექტთან მიმართებაში თავად ავტორის გონება-მახვილობაზეა დამოკიდებული. ასეთ რამეს მკვლევარი თავად კვლევის პროცესში მიაგნებს ხოლმე. ასე იყო ივანე ჯავახიშვილის შემთხვევაში, როცა იგი ქართველ და კავკასიელთა ენობრივ მასალებზე მუშაობდა. მან ამ ენებიდან ყველა ლექსიკურ ერთეულს კი არ დაუწყო შესწავლა, არამედ შეარჩია მხოლოდ ისინი, რომლებიც მიზანს მიაღწევინებდა. აი, ივანე ჯავახიშვილის დასკვნაც: “რაკი შესასწავლი ენის სიტყვათა საგანძურის მთლიანად გამოკვლევა შეუძლებელია და მკვლევარი უნებლიეთ გარკვეული ფარგლებით შეზღუდული ლექსიკური მასალით უნდა დაკმაყოფილდეს, ამიტომაც შემსწავლელმა უნდა იცოდეს ადამიანის მეტყველების ის სფეროები, სადაც მოსალოდნელია და შესაძლებელი, რომ ამა თუ იმ ენის

თავდაპირველი აგებულება მისი მერმინდელი თავგადასავალიც, მისი უმწერლობო ისტორიაც იყო აღბეჭდილი. აპრიორულად საფიქრებელია, რომ ენის ძველი აგებულება მისი მეტყველების საგანძურის იმ სფეროში უნდა ვეძიოთ, რომელიც ადამიანის უძველესი ყოფა-ცხოვრების გამომხატველია, სახელდობრ სქესთაშორისი და ნათესაური დამოკიდებულებისა და ურთიერთობის, თავდაპირველი მეურნეობისა და დასასრულ, პირველყოფილი რწმენისა და მსოფლმხედველობის აღმნიშვნელია.” [24, 90-100]

ამდენად საკვლევი თემის გასაშუქებლად საჭირო მასალათა შერჩევა დიდი მნიშვნელობა აქვს და კვლევა-ძიების წარმატებას სწორედ მისი მართებული გადაწყვეტა განაპირობებს, რადგანაც იგი არის ის სამშენებლო მასალა, რომლისგანაც შემდეგ შენობა უნდა აიგოს. თავისთავად შესანიშნავი, მაგრამ უადგილოდ ხმარებული მასალისაგან მკვიდრი ნაგებობა ვერასდროს ვერ შეიქმნება. ისტორიისათვის ასეთად ის მასალები გვევლინებიან, რომლებიც საისტორიო პროცესს ასახავენ და რომელთაც საისტორიო წყაროები ეწოდებათ.

#### **4. ივანე ჯავახიშვილი წერილობითი წყაროების შესახებ**

საისტორიო ნაშრომის დაწერა შეუძლებელია სათანადო მასალების - წყაროების გარეშე. ამდენად მეცნიერი დამოკიდებულია საისტორიო წყაროზე, მაგრამ ამ წყაროს ღირსება-ნაკლოვანებების გათვალისწინება, მასში მოცემული ინფორმაციის სრულყოფილი გაშიფვრა და ამოცნობა-ამოკითხვა თავად მეცნიერზეა მინდობილი. ეს ფრიად საპასუხისმგებლო საქმეა და ეს საკითხი საისტორიო მეთოდოლოგიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამ მხრივ ივანე ჯავახიშვილი ფრიად სანიშნავი მეცნიერი გახლავთ.

როცა ივანე ჯავახიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა, ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო საისტორიო მწერლობის თითოეული მონაცემის უკრიტიკოდ მიღება. თავად წყაროთმცოდნეობითი ბაზაც ძალზე მწირი იყო. იგი „ქართლის ცხოვრების» რამდენიმე ნუსხითა და არცთუ მდიდარი სიგელ-გუჯრებით იყო შემოფარგლული. ამის შესახებ თავად ივანე ჯავახიშვილი 1915 წ. წერდა: „თანამედროვე ქართული საისტორიო მწერლობის ერთ-ერთ ნაკლად ის გარემოებაც უნდა ჩაითვალოს, რომ ქართლის ცხოვრებისა და საგელ-გუჯარებით იყო და არის განსაკუთრებით გატაცებული და ქართული საისტორიო წყაროების სხვა დარგებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს: ამის გამოა, რომ აქამდის თითქმის სრულებით ხელუხლებელი დევს და მაინც და მაინც სრულიად შეუსწავლელი იყო ისეთი საყურადღებო, შინაარსიანი და დიდმნიშვნელოვანი დარგი როგორც არის ქართველ მარტვილთა და წმინდანთა ცხოვრებანი» [23, 26]. სწორედ ივანე ჯავახიშვილის დამსახურებაა, რომ ქართული მწერლობის ეს ნიმუშები ფართოდ შეიტანა სამეცნიერო კვლევა-ძიებაში. იმ დროისათვის - XX ს-ის 10-იანი წლებში ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს დიდი და გამართლებული ნოვაცია იყო. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილი წარსულის სურათის წარმოსადგენად წყაროთა ვიწროდ შემოფარგვლის წინააღმდეგი იყო. მთავარია ეს წყარო კრიტიკულად დადგენილი ყოფილიყო, ე.ი. მისი სანდოობა წინასწარ შემოწმებულიყო.

წერილობითი წყაროებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების მოთხოვნაც სახელოვანი ისტორიკოსის ახალი სიტყვა იყო ქართულ ისტორიოგრაფიაში. მანამდე

თითქმის ყველა ავტორი დაუეჭვებლად მიჰყვებოდა „ქართლის ცხოვრების« ქარგას და მრავალი შემთხვევითი ამბავი ან უზუსტო ინფორმაცია ისტორიულ სინამდვილედ იყო მიჩნეული. ამის შესახებ დიდი მეცნიერი წერდა: „ჩვენს ახალს საისტორიო მწელობაში ქართული საისტორიო წყაროების კრიტიკულს შესწავლას ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევენ . . . ქართლის ცხოვრების განხილვის დროსაც უფრო გარეგანი კრიტიკა იყო გამეფებული, ვიდრე წყაროების არსებითი და ყოველმხრივი შესწავლა. მკვლევართ ის აწუხებდათ, თუ ვინ და როდის შეადგენა თვით კრებული და უცხოელ კრიტიკოსთა აზრისდა საწინააღმდეგოდ უნდოდათ დაემტკიცებინათ, რომ ქართლის ცხოვრების თითოეული ნაწილი თანამედროვის მიერ არის დაწერიული» [23, 25].

ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი წყაროს შესწავლის საქმეში მ. ლორთქიფანიძის მიერ შემდეგნაირადაა შერფასებული: „ივ. ჯავახიშვილმა მეცნიერული კვლევა-ძიება ქართული საისტორიო წყაროების კრიტიკული შეფასებითა და განხილვით დაიწყო. მისი პირველი სამეცნიერო გამოკვლევა, რომელიც ანდრია მოციქულისა და წმინდა ნინოს სამისიონერო მოღვაწეობას ეხება, წყაროებათმცოდნეობითი ნაშრომია და არის ნიმუში წერილობითი წყაროების მკაცრი და პირუთვნელი სამეცნიერო კრიტიკისა. ივ. ჯავახიშვილმა მკაცრი მეცნიერული კრიტიკული მეთოდით განიხილა მის დროს ცნობილი უმთავრესი ქართული ნარატიული საისტორიო წყაროები V საუკუნიდან, ვიდრე XVIII საუკუნემდე. მან გაარკვია თხზულებათა ავტორების ვინაობის განვითარების ძირათადი მაგისტრალური ხაზი და ყოველ თხზულებას მიუჩინა მასში თავისი ადგილი» [13, 7-8].

წერილობით წყაროთა კრიტიკულად დადგენის შესახებ ივანე ჯავახი-შვილის ღვაწლს შემდეგნაირად აფასებს ს. ჯანაშია: „პირველივე მეცნიერული ნაშრომი ყოველმხრივ დამახასიათებელი იყო ავტორისათვის. აქ ფილოლოგიური ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, ფილოლოგიური სკოლის მოწაფე, აყენებს საქართველოს ისტორიის მეცნიერების (ხაზგასმა აქც და ქვემოთაც ეკუთვნის ს. ჯანაშიას, დ.ს.) უმნიშვნელოვანეს ამოცანას, წყაროების კრიტიკის ამოცანას. უანგარო ენთუზიასტების მთელმა წყებამ, როგორც ქართველთაგან, ისე არაქართველთაგან, მე-19-ს-ში, შეიგნო რა წყაროთა წრის მაქსიმალური გაფართოების მნიშვნელობა, უდიდესი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიას მისი პირველი წყაროების სხვადასხვა კატეგორიების მრავალფეროვან ძეგლთა შეგროვებითა და დაცვით. მაგრამ ამ წყაროებისადმი შემეცნებითი დამოკი-დებულება არ იდგა იმდროინდელი მოწინავე მეცნიერების დონეზე. საქართველოს ისტორიის მოყვარულთა წრში გულუბრყვილო - მოწიწებით, ნაციონალისტური განწყობილება იყო გაბატონებული მშობლიური წარსულის ყველა ძეგლისადმი, განურჩევლად: დიდმპყრობელური და შოვინისტური წრეები - კი პირიქით, ნერგავდნენ უარყოფითს, ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ამ წყაროებისადმი, ცდილობდნენ რა მათი მნიშვნელობის გაბახებასა და გაქარწყლებას. საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა წყაროების პირუთვნელი, მაგრამ სასტიკი კრიტიკით უნდა დაწყებულიყო. ეს საქმე წარსული საუკუნეების დამლევს ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა. და, აი, პირველსავე გამოკვლევაში ივანე ჯავახიშვილი მწვავედ აყენებს ამ საკითხს» [40, 383-385].

ივანე ჯავახიშვილისეული ეს კრიტიკული დამოკიდებულება საქართველოს ისტორიის ზოგიერთ წყაროსადმი თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიისმიერ

სუპერკრიტიკად არის მონათლული და ეს წყაროები სანდო მეგლებადაა ჩათვლილი [4 5-23. იქვე ბიბლიოგრაფია]. მაგრამ ერთია, დამაჯერებელი არ იყოს ივ. ჯავახიშვილის არგუმენტები რომელიმე წყაროს სანდოობის შესახებ და მეორეა, მოთხოვნა - საისტორიო ნაშრომის წერის დაწყებამდე წყაროს სანდოობა რომ უნდა შემოწმდეს. ამიტომ ეს გარემოება თავად ივანე ჯავახიშვილისეულ მეთოდს წყაროს კრიტიკული განხილვისა, სულაც არ უკარგავს მნიშვნელობას. იგი ძალაშია დღესაც და ძალაში იქნება მომავლშიც, რადგანაც ყოველთვის აუცილებელია, ჯერ საისტორიო წყაროს სანდოობა დადგინდეს მოცემული მომენტისათვის საისტორიო მეცნიერების განვითარების დონის შესაბამისად და მერე იქნას მასზე დამყარებული სამეცნიერო კვლევა-ძიება. ამ თვალსაზრისით მეთოდოლოგიურად უაღრესად ზუსტი დებულებაა ივანე ჯავახიშვილის შემდგი მსჯელობა: „თვითოეული ძველი საისტორიო თხზულების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა - კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნება და მედასეობა, მისი წყაროების თვისება, ჟამთააღმწერლის წერის წესი და მეთოდები. საისტორიო ნაწარმოების ქრონოლოგიური განხილვა მხოლოდ თანამედროვეობის მხრივ მეტად მარტივი საშუალებაა იმიტომ, რომ მატიანე და ჟამთააღმწერელი შეიძლება თანამედროვეც იყოს, მაგრამ თუ ამასთანავე მოთხრობილის თანადამხდური არ არის, ან თუ მისი მოამბე სარწმუნო თანადამხდური და თვითმხიდეველი არ იყო, მის მოთხრობას დიდი ფასი და მნიშვნელობა არა აქვს. თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმწერლის თვალსაზრისი, წოდება, და მედასეობა საისტორიო მოთხრობას თავისს ძლიერს დაღს ასვამს ხოლმე და ნება-უნებლიედ მიუდგომლობაზე მოქმედებს, რომ „მაცდურ სოფლის» მოძულე ბერი-მემატიენე თავისუფალი აზროვნების და ყოფაცხოვრების მიმდევარი საზოგადოებრივსა და სახელმწიფო მოღვაწეთა დახასიათების დროს პირუთვნელობას ვერ გამოიჩინდა, მეფეთა პოლიტიკის მომხრე და კარის მემატიანეც მეფეთა სამრახისს საქციელს, ან სათაკილო ამბების აღწერილობას თავის ნაწარმოებში არ შეიტანდა, ხოლო მეფეთა მოწინააღმდეგე აზნაურთადმი სიძულვილსა ვერ შეიკავებდა და სხვა». [23, 25-26].

ეს დებულება უნდა გვახსოვდეს ისტორიოგრაფიის ნებისმიერი საკითხის კვლევისას, მაგალითისათვის დავასახელოთ ერთი სპეციფიკური საკითხი, როგორცაა თუნდაც ეტიკეტი, რომლის შესწავლისას წყაროთა ასეთი კრიტიკული მიდგომა აუცილებელია, იმიტომ რომ ზუსტად დადგინდეს ამა თუ იმ წესის შემოღების დრო, გავრცელების არეალი და ვითარება, მისი შემოღების საჭიროება რითი იყო გამოწვეული და ა.შ. ამ მხრივ თანამედროვესა და შემდეგდროინდელავტორს ერთი და იგივე ფასი არ ექნება. ამავე დროს ყოველთვის იქნება გასათვალისწინებელი ავტორის ობიექტურობის დასადგენად მისი მსოფლმხედველობა და საზოგადოებრივი პოზიცია.

სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის მნიშვნელოვანია არა მარტო თხრობითი (ნარატიული) მეგლები, არამედ სხვადასხვა სახის დოკუმენტებიც. მაგრამ მათაც შემოწმება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მარცხი გარდაუვალია. აი, რას წერს ივ. ჯავახიშვილი მის მიერ სწორუპოვარ ისტორიკოსად მიჩნეულ ვახუშტი ბატონიშვილის მისამართით: „ეგნატაშვილი ბერის მეთაურობით შედგენილი ქართლის ცხოვრების გაგრძელების ასე უღმობლად, მაგრამ სამართლიანად კრიტიკულად განმსჯელი, თვითონვე ბატონიშვილი ვახუშტი სრულისა და გულუბრყვილო ნდობით ეპყრობოდა

ყველაფერს, რასაც საბუთის სახელი ეწოდება. სწორედ ამან ჩაადენინა მას მრავალი შეცდომები» [20, 238].

წყაროთა მონაცემების სანდოობის დადგენის აუცილებლობა წითელ ზოლად გასდევს სახელოვანი ისტორიკოსის მეთოდურ პრინციპებს. ამ სამართლიან მოთხოვნას იგი ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნავს. ასე მაგ. როცა XIV-XVI საუკუნეების „დაბურულ ტყეში თუ უდაბნოში» (ივ. ჯავახიშვილის სიტყვებია) გზის გაგნებაზე საუბრობს, შენიშნავს: „მართალია, ჩვენ გაცილებით უფრო მეტი და მრავალმხრივი შინაარსის წყაროები გვაქვს ხელთ, როდესაც საქართველოს ისტორიის ხარვეზის შევსებას ვცდილობთ, მეტადრე ხალხის აღწერისა და შემოსავლის დავთრებისა და ეკონომიური ისტორიის სხვა ძეგლებისა და უცხოელ მოგზაურთა ცნობების გამოყენების წყალობით, მაგრამ უმთავრესი განსხვავება მეთოდოლოგიური (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) ხასიათისაა. მთელი წინამდებარე წიგნი წინა წიგნებივით („ქართველი ერის ისტორიის წიგნებზეა საუბარი, დ.ს.) იმ დებულებაზეა დამყარებული, რომ ყოველი წყარო მათ შორის საბუთებიც, აუცილებლად ჯერ წინასწარ ყოველმხრივ უნდა იყოს შესწავლილ-შეფასებული და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება გამოყენებული იყოს და რომ არაფრით თავისთავად ცხადად და დამტკიცებულად არ უნდა იქმნას მიჩნეული» (ხაზგასმა ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს, დ.ს.) [20, 238].

## 5. ივანე ჯავახიშვილი ენობრივი მასალის საისტორიო წყაროდ გამოყენების შესახებ

ივანე ჯავახიშვილი თავის საისტორიო კვლევა-ძიების პროცესში ფართოდ იყენებს საენათმეცნიერო მასალებს. მათზე დაკვირვებას ქართული ყოფითი კულტურის კვლევისას მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს, რადგანაც თითოეულ სიტყვაში, რომელიც წეს-ჩვეულებების ამა თუ იმ მხარეს ეხება, როგორც ენობრივი ფაქტი, სათანადო ანალიზის შედეგად, ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეიძლება აღმოჩნდეს.

ივანე ჯავახიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას წესად ჰქონდა, როცა რაიმე საგნის შესახებ ნაშრომს წერდა, ჯერ აუცილებლად სათანადო ტერმინოლოგიის ანალიზს ჩაატარებდა. იგი საგანგებო ყურადღებას აქცევდა ცნებებს. სახელოვანი მეცნიერი, წყაროებიდან რომ ამოიწერდა რომელიმე სიტყვას, ცდილობდა დაედგინა მისი შინაარსი და ამიტომ მის უცხოურ შესატყვისებს ეძებდა და მათ უფარდებდა. ამ მიზნით იგი ძირითადად ბიბლიას იყენებდა. თითოეულ მისთვის საინტერესო ცნებას იგი ერთი და იგივე კონტექსტში ამოწმებდა ქართული, სომხური, სლავური, ბერძნული ბიბლიის ძველ ტექსტში. ამ გზით იგი საკვლევი ცნების ზუსტ შინაარსს ადგენდა. მაგრამ იგი მარტო ბიბლიის ტექსტით არ იფარგლებოდა. იგი ფართოდ იყენებდა აგრეთვე სპარსული და არაბულ წყაროებსაც. შედარების ამ მეთოდით დიდი მეცნიერი, ერთი მხრივ, გამიჯნავდა ქართულ სიტყვებს არაქართულისაგან, მეორეც, ადგენდა უცხოური ცნების შემოსვლის დროსა და გარემოებას, რაც თავისთავად გზას ხსნიდა ამ ცნებით გამოხატული ისტორიული რეალიების ქართული გარემოში დანერგვის სურათის გასაგებად. მუშაობის ამდაგვარი წესი მისი მეთოდოლოგიური პრინციპი იყო. იგი ყოველთვის მოითხოვდა, პირველ რიგში დადგენილიყო ცნების ეტიმოლოგია.

ამ მხრივ იგი თავის დაკვირვების შედეგებს გვიზიარებს და გვამცნობს მეთოდოლოგიურად მეტად ფასეულ დასკვნას: „რეალიების, ნივთიერი კულტურის

ისტორიის მკვლევარს უნდა ყოველთვის ახსოვდეს, რომ ამა თუ იმ სიტყვის რეალური მნიშვნელობის გამორკვევა და განსაზღვრა მარტო იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას იმ ენაში და ქვეყანაში, საითგანაც იგი შეთვისებულია, არას გზით არ შეიძლება, რათგან ძალიან ხშირად შემოხიზნულ სიტყვას მნიშვნელობა ეცვლება ძირიანადაც - კი» [34, ფ. 299-300].

ასე რომ, სიტყვათა მნიშვნელობის გარკვევა მას ყოველთვის იტაცებდა და მეთოდურ პრინციპად მიაჩნდა, დაედგინა ამა თუ იმ სიტყვის სადაურობა - დედა ენისაა თუ შემოსული, თუ შემოსულია რომელი ენიდან, რა გზით - ზეპირად თუ წერილობით და რა დროს? მაგრამ ყოველივე ეს იყო ცალკეული ცნებების გამოწიალება საისტორიო სურათის სრულყოფილად ასაწერად. ხოლო სულ სხვა დატვირთვა და მნიშვნელობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის მიერ ენობრივი მასალათა განხილვამ ქართული და კავკასიური ენების საგანძურთან, რაც მას დასჭირდა ქართველი ერის უძველესი პერიოდის საკითხის - წარმომავლობისა და ნათესაობის გასარკვევად. ამ რაკურსში იგი თითოეული სიტყვის შინაარსში უძველესი პერიოდის მოვლენებს ეძებს და მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების (სამეურნეო, სოციალური, კულტურული) ვითარების რეკონსტრუქციას ცდილობს. ამ ტიტანური მცდელობის ნიმუშია მისი „ქართველი ერის ისტორიის» შესავლად განხილული სამტომეული.

მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს ივანე ჯავახიშვილის იმ დებულებას, რომ მკვლევარმა მუშაობის დაწყებამდე უნდა განსაზღვროს, თუ რა ენობრივი მასალის განხილვა მისცემს მას სასურველ შედეგს [24, 99], მაგრამ საინტერესოა ცოცხალი ენის ზღვა მასალიდან რა უნდა აირჩიოს მკვლევარმა, რომ თავის მიზანს მიაღწიოს? ივანე ჯავახიშვილის აზრით მკვლევარმა ის სფეროები უნდა აირჩიოს, რომელშიც შესაძლებელია „მისი უმწერლობო ისტორია იყოს აღბეჭდილი» [24, 99]. სახელოვანი მეცნიერი წერდა: „ცნობილია, რომ ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაშიც უცვლელი არაფერი რჩება: ძველს, დროთა განმავლობაში თანდათან ახალ-ახალი, ან ადგილობრივი მონაპოვარი, ანდა სხვაგნებურც, ემატება ხოლმე. ამის წყალობით ზოგი რამე ძველთაგანი ქრება, ზოგი ნაწილობრივ იცვლება, ზოგი კიდევ სრულებით ახლად რჩება. მთელი ეს პროცესი ენის საუნჯეზეც აღიბეჭდება ხოლმე. ძველი ტერმინების გვერდით ახლები ჩნდება, ანდა ზოგის მაგიერ ახალი სიტყვა შემოდის, რომელიც ძველს სპობს, ზოგჯერ ძველი სიტყვის თავდაპირველი ბგერითი შედგენილობა, დროთა განმავლობაში, ან მექანიკურად, კიდურების ჩამოცილებით, ანდა შეგნებულად, ენის აგებულებაში იმ დროისათვის მომხდარი ცვლილების მიხედვით, საგრძნობლად იცვლება ხოლმე. ამის წყალობით, ადამიანის ურთიერთობის, მეურნეობისა და მსოფლმხედველობის ზემოაღნიშნული სფეროების ტერმინოლოგიასა და სიტყვათა საგანძურს ენის მთელი თავგადასავლის დამახასიათებელი ლექსიკური მასალა აქვს დაცული [24, 100]. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, მივიღებთ ივანე ჯავახიშვილის დასკვნებს ქართული და კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ, სახელოვანი მეცნიერის ეს მეთოდოლოგიური დებულება აუცილებლად გასათვალისწინებელია. სწორედ ამდაგვარი მიდგომითაა დაწერილი თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ცნობილი ნაშრომი, რომელიც ინდოევროპელთა ენასა და თავდაპირველ ბინადრობის საკითხს ეხება [42].

დიდი მეთოდოლოგიური დატვირთვისაა ივანე ჯავახიშვილის დაკვირვება, რომლის მიხედვითაც აუცილებელია ენობრივი მასალის გეოგრაფიული და სოციალ-კულტურული სივრცეში განხილვა, რადგან ეს გარემოებანი მრავალ თავისებურებებს აღბეჭდავს თითოეული ცნების შინაარსში. „ცნობილია, რომ ერის წარმატებასთან ერთად, მისი გონებრივ-კულტურული შემოქმედების გამომხატველი ენა და ლექსიკური საგანძურიც იცვლება. მაგრამ წარმატების ეს პროცესი ამა თუ იმ ერის ყოველ თემსა და ყოველ ტომს, თუ ფენას ერთდროულად და თანასწორად არ ემჩნევა ხოლმე. კულტურული ცენტრსა და სავაჭრო, თუ

შარაგზების მახლობლად მდებარე თემის მოსახლეობა ახალს, თავისას თუ უცხოს, დაშორებულზე უფრო ადრე ითვისებდა ცენტრს მოწყვეტილი ტომების ცხოვრება - კი ახალ-ახალ შენართსა, თუ მონაპოვარსა არ ეტანებოდა და ძველი კულტურული საგანძურის დამცველი იყო” [24, 102].

ამდენად, დიდი მეცნიერის აზრით, ენაზე და ყოფაზე ზეგავლენა და ცვლილება ერთნაირი ინტენსივობით არ ხორციელდება. იგი დამოკიდებულია ცხოვრობის იმ რიტმზე, რომლითაც ის დასახლებული სივრცე ხასიათდება. ერთგან იგი შეიძლება ძალზე ინტენსიური იყო (ცენტრალური შარაგზასთან სიახლოვე, მჭიდრო დასახლება . . .). მეორეგან კი შენელებული (მნელად მისადწევი მთიანი გარემო, კარჩაკეტილობა). ივ. ჯავახიშვილის ეს დაკვირვება მეთოდოლოგიური დებულებაა და იგი ყოველთვის უნდა გვქონდეს გათვალისწინებული.

## **6. ივანე ჯავახიშვილი ეთნოგრაფიული მასალების ჩაწერისა და საისტორიო წყაროდ გამოყენების შესახებ**

მართალია ენობრივი მასალების ანალიზით სცადა ივანე ჯავახიშვილმა ქართველი ერის უძველესი კულტურული მდგომარეობისა და კერძოდ, წარმართული პანთეონისა და უძველესი მსოფლმხედველობის საკითხების გარკვევა, მაგრამ ამავე დროს ამ საკითხების გასაშუქებლად იგი ენობრივ მასალებთან ერთად სხვა რიგის ცნობებსაც გამოიყენებდა. იგი წერდა: „უძველესი მსოფლმხედველობისა და რწმენის შესასწავლად და შეძლებისამებრ სრული სურათის წარმოსადგენად ხალხში დარჩენილ თქმულებებს, ხატობათა დღესასწაულების წესებსა და წარსათქმელ ხუცობის ლოცვა-ვედრებას, სადიდებელსა და დამწერლობას დიდი მნიშვნელობა აქვს» [25, 166]. იგი დარწმუნებული იყო, რომ ის მასალა რომლითაც წარმართული მსოფლ-მხედველობის შესახებ საუბარი შეიძლებოდა, იმ ხანას ეკუთვნოდა, როცა ქართველი ტომები ერთ ორგანიზმს შეადგენდნენ [19, 78-187]. ქართველი ტომების ერთიანობის ხანაში ერთიანი წარმართული რწმენა-წარმოდგენები რომ იქნებოდა გაბატონებული, უეჭველია, მაგრამ სახელოვანი მეცნიერის ხელთ არსებული მასლით თუ რამდენად შესაძლებელია ამ საკითხის ზუსტად გადაწყვეტა, ცოტა მნელია.<sup>2</sup> ყოველ შემთხვევაში შემდეგი დროის

<sup>2</sup> მნელია შეათანხმო ივ. ჯავახიშვილის ენათმეცნიერული განსწავლულობას, შემდეგი დასკვნა ქართველი ერის წარმართული პანთეონის შესახებ: „არამცთუ საზოგადო ქართული, ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა, არამედ რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, *საერთო ენაც ქართული* (ხაზგასმა ჩემია) ჰქონდა [19, 156]. ე. ი. იმ დროს, როცა საერთო ქართველური ერთიანობა გვაქვს და საერთო ფუძე ენაც არაა დაშლილი ქართული, სვანური და ზანური (მეგრულ-ჭანურ) ენებად, ამ ერთობის წარმომადგენლები ქრთულ ენაზე როგორღა ისაუბრებდნენ?

კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომძალიან ბევრი რამ, რაც წარმართულად და ამდენად არქაული პერიოდის რეალობის ამსახველად მიიჩნეოდა მერმინდელი ყოფილა (ზ. კიკნაძე, ა. ლეკიაშვილი). ქართველი წარმართობის კვლევის საქმეში ივანე ჯავახიშვილი იყო ფაქტობრივად ერთ-ერთი პირველი გზის გამკვალავი და თანაც აღნიშული საკითხები სიცოცხლის ბოლო წლებში აქვს დაწერილი, როცა მისი მკაცრად გაცხრილვისა და უფრო გაღრმავებულად შესწავლისათვის დრო არა ჰქონდა, თორემ ქართველთა წარმართობის შესახებაც უთუოდ კრიტიკულ ნააზრევს დაგვიტოვებდა. ცნობილია რომ მან თავისი „ქართველი ერის ისტორია» ორჯერ გადაამუშავა და III ვარიანტი ფაქტობრივად ხელახლა დაწერა. აგრეთვე ივანე ჯავახიშვილი არ იყო ის მეცნიერი, რომელსაც არქაიზაციისაკენ მიდრეკილება ჰქონდა. იგი პირუთვნელი, მიუდგომელი მკვლევარი იყო. ამიტომ იქ სადაც გზა უკვე გაკვალული იყო და გაღრმავებული კვლევისათვისაც დრო მეტი გააჩნდა სულ სხვა დებულებები შემოგვთავაზა.

ზნე-ჩვეულებები თავისი ხასიათის გამო, რომ ისინი ხალხური ტრადიციული კულტურაა და ამიტომაც ყოველთვის სიძველის ფაქტად მიიჩნევენ, შესაძლებელი იყო სახელოვან ისტორიკოსსაც ასე ჩაეთვალა. მაგრამ პირიქით მოხდა. თავისი თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით მან გამოთქვა თავის „ქართული სამართლის ისტორიაში». აქ იგი მიმოიხილავს ქართული სამართლის შესწავლის ისტორიას, ანალიზს უკეთებს უკვე გაკეთებულს და აღნიშნავს ეთნოგრაფისა და იურისტის ნ. ხიზანიშვილის (ნ. ურბანელის) ღვაწლს. ამასთან ერთად ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს ნ. ხიზანიშვილის სამეცნიერო ნაღვაწის ნაკლს, რაც გამოწვეული იყო არასწორი მეთოდოლოგიური მიდგომით. იგი მისდევს რუსი მკვლევარების მ. კოვალევსკისა და ლეონტოვიჩის შეხედულებებს, რომელსაც ემჩნეოდათ პირველყოფილობით გატაცება. აი, რას წერს ივ. ჯავახიშვილი: „რადგან ზემოთდასახელებული ორივე რუსი მეცნიერი კავკასიელთა თანამედროვე ზნე-ჩვეულებებში პირველყოფილი სოციალური ცხოვრების კვალს ეძებდა, მთელი კვლევა-ძიების უდიდესი ენერგია ამ პირველყოფილობის ძიებაში ილეოდა. ამის წყალობითვე მათი მიმდევარი ნ. ურბანელის ნაშრომებსაც ყურადღება ქართველ მთიელთა დაბალი უფლებრივი მდგომარეობისკენ ჰქონდა მიპყრობილი და პირველყოფილობის ძიებისადმი მიდრეკილება ემჩნევა» [22,44]. სახელოვანი ისტორიკოსის ეს სიტყვები უფლებას აძლევს მ. გეგეშიძეს დაასკვნას: „მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილი წინააღმდეგი იყო სოციალური მოვლენათა ნაჩქარევი, გაუმართლებელი არქაიზაციისა, სადაც როდესაც ცხოვრების განვითარების კონკრეტულ-ისტორიული პირობები მეცნიერული დაკვირვებისა და კვლევის სხვა მიმართულებებსა და შესაძლებლობებს სახავდნენ» [3,33].

ივანე ჯავახიშვილი გვამლევს ზუსტ მეთოდოლოგიურ რეცეპტს ზნე-ჩვეულებების ისტორიულ წყაროდ გამოყენებისათვის: „მაგრამ რადგანაც „უკულტურო» და უმწერლობო ტომთა და ერთა სამართლის შესასწავლად კვლევის ასეთი მეთოდი ( ე.ი. არქაული ელემენტების ძიება, დ.ს.) ერთ-ერთი შესაძლებელი გზა არის, იმდენად მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მწერლობის მქონე ერის სოციალური ისტორიის შესწავლა მართო ამ გზით უტყუარსა და ნაყოფიერ შედეგს ვერ მოგვცემს. ერის თანამედროვე ზნე-ჩვეულებათა სათანადოდ გამოყენებისათვის წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა არის აუცილებლად საჭირო» (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.). [22,14]

ამ მოკლე აზრს მ. გეგეშიძე ისეთ სკურპულოზურ ანალიზს ურთავს რომ მხოლოდ უნდა გავიმეორო: „ივ. ჯავახიშვილის მეთოდოლოგიურად მართლაც დიდი მნიშვნელობის ამ ერთ ფრაზაში რამდენიმე ცალკე მეცნიერული ასპექტია შერწყმული. პირველი, რაც ქართული მეცნიერული ეთნოგრაფისათვის განსაკუთრებით ყურადსადები და ღირებულია, ის არის, რომ ქართველი ხალხი ანუ ქართველი ერი აქ ერთიანობაშია, მთლიანობაშია წარმოდგენილი საქართველოს ბარისა და მთის მოსახლეობის განუცალკავებლად. მსჯელობის საერთო მიმართულების მიხედვით და შესაბამისად კი ივ. ჯავახიშვილს შეეძლო ქართველი მთიელი მოსახლეობა გამოეყო, რამდენადაც, როგორც უკვე ვნახეთ, ნ. ურბნელის მეცნიერული მოღვაწეობის კრიტიკულ შეფასებაში მან (ივ. ჯავახიშვილმა) მიგვანიშნა, რომ ნ. ურბნელის ნაშრომებს პირველყოფილობის ძეხნაში ყურადღება ქართველ მთიელთა დაბალი უფლებრივი მდგომარეობისაკენ ჰქონდა მიპყრობილი. აქვე დიდად ღირებული და მთავარია ივ. ჯავახიშვილის მიერ იმის ხაზგასმაც, რომ ქართველი ერი მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მწერლობის მქონე ერია, რომლის სოციალური ისტორიის შესწავლა ზემონახსენები ცალმხრივი მიდგომით უტყუარსა და ნაყოფიერ შედეგს ვერ მოგვცემს. და ერთი მთავარიც - ივ. ჯავახიშვილი ეთნოგრაფიულ მასალას, ეთნოგრაფიულ მონაცემებს ცოცხალ ყოფაში წარმოდგენილ მოქმედი ფუნქციის სოციალურ მოვლენად განიხილავს და მიაჩნია, რომ „ერის თანამედროვე ზნე-ჩვეულებათა სათანადოდ გამოყენებისათვის წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა არის აუცილებლად საჭირო». ივ. ჯავახიშვილის ამ გამონათქვამის სიტყვა-სიტყვით ისევ განმეორება იმიტომ გვჭირდება რომ საგანგებოდ გამოვყოთ ხალხური ზნე-ჩვეულებებისადმი, როგორც ისტორიული წყაროსადმი, ივ. ჯავახიშვილის დამოკიდებუება. ივ. ჯავახიშვილი ცოცხალ ეთნოგრაფიულ ყოფაში მოქმედ და ფიქსირებულ ზნე-ჩვეულებებს „თანამედროვე ზნე-ჩვეულებებს» უწოდებს. „თანამედროვე», ცხადია, მეცნიერის გაგებაში ახლად წარმოქმნილ ზნე-ჩვეულებებს კი არ ნიშნავს, არამედ ძველს და ტრადიციულს (ლაპარაკი ხომ ზნე-ჩვეულებებზეა, რომელთა ჩამოყალიბებისა და განვითარების კონკრეტულ-ისტორიული პირობები და დრო სჭირდება); მაშასადამე, თანამედროვე ხალხური (ეთნიკური) ზნე-ჩვეულებები თავისთავად ძველი და ტრადიციული წარმომობისა და ისტორიული განვითარებისა და მოქმედების ქრონოლოგიურად განსაზღვრას საჭიროებენ, რაც მეცნიერულად არც თუ ისე ადვილია, მაგრამ რის საჭიროებას ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ გახაზავს» [3,34-35].

ეთნოგრაფიული მასალა ქართველი ერის უძველესი მსოფლმხედველობის, ირაციონალური წარმოდგენების, მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის შესასწავლად ივანე ჯავახიშვილს ფართოდ აქვს გამოყენებული თავის მრავალრიცხოვან შრომებში. ამ სახის მასალებს იგი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და მათ გეგმაზომიერ შეკრებასაც დიდ ყურადღებას უთმობდა. ერთგან სახელოვანი მეცნიერი ხაზგასმით შენიშნავს: ხალხური ყოფის შესახებ „ცნობებსა და ტექსტებს ჩვეულებრივ ეთნოგრაფები ჰკრებენ ხოლმე, რომელთაც რასაკვირველია, თავიანთი მიზანი აქვთ, რომელიც ისტორიკოსის მიზანისგან განსხვავდება (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.), მაგრამ თუ ეთნოგრაფიული ცნობები და ტექსტები სათანადოდ არის შეგროვებული და შესაფერისი სისწორით არის ჩაწერილი, მაშინ ასეთი მასალების გამოყენება თავისი ამოცანებისათვის ისტორიკოსსაც შეუძლიან, რა თქმა უნდა, ჯეროვანი მეთოდების

მოშველიებით» [25,167]. სამწუხაროდ, დიდ მეცნიერს არ დაუზუსტებია ისტორიკოსის მიზნისაგან ეთნოგრაფების მიზნები რითი განსხვავდებოდა, მაგრამ აქ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის, რომ იგი გვეუბნება:

1. ეთნოგრაფიული მასალები საისტორიო ნაშრომის შესაქმნელად უნდა იქნას გამოყენებული („ასეთი მასალების გამოყენება თავისი ამოცანებისათვის ისტორიკოსსაც შეუძლიან“).

2. ეთნოგრაფიული მასალების გამოყენება უნდა მოხდეს «ჯეროვანი მეთოდების მოშველიებით» ანუ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეთნოგრაფიული მასალებიც ისეთივე კრიტიკული მიდგომით უნდა იქნენ განხილული მათი ცნობების სანდოობის დასადგენად, როგორც სხვა სახის საისტორიო წყაროსი.

3. ეთნოგრაფიული მასალები მხოლოდ მაშინ არის ფასეული, როცა «სათანადოდ არის შეგროვებული და შესაფერისი სისწორით არის ჩაწერილი».

ჯერ კიდევ 1904 წელს ივანე ჯავახიშვილმა კ. ინოსტრანცევიტან ერთად იმოგზაურა ჩრდილო კავკასიაში და თავისი შთაბეჭდილებები გაუზიარა თავის მასწავლებელს ნიკო მარს. ეს წერილი იმითაა ჩვენთვის საინტერესო, რომ იგი გვიჩვენებს ივანე ჯავახიშვილის დამოკიდებულებას ეთნოგრაფიული მუშაო-ბისადმი და კერძოდ, ეთნოგრაფიული ინფორმაციის შეკრებისადმი. «მესამე დღეა, რაც ყარანოღელთა მინდვრებიდან დავბრუნდით: - წერდა ივანე ჯავახიშვილი ნ. მარს, - ოთხი დღე დავრჩით იქ მხოლოდ, იქაური ქორწილი ვნახეთ, ბევრისაინტერესო საურათები და სანახავები იყო, ტანისამოსი და საგნებიც საკმაოდ შეკვრიბეთ, მაგრამ, სწორედ გითხრათ, მე ამნაირი ეთნოგრაფიისა არა მწამს რა: ჩემის აზრით ეს უფრო მოხელოებაა, ვიდრე მეცნიერება; ინოსტრანცევი ასეთ გზას ადგია: ყველგან ადმინისტრაციას მიჰმართავს ხოლმე, იმას (ბოქაულს, მამასახლისს, მაზრის უფროსს, ოლქის მმართველს) ჰკითხავს ხოლმე, რა და სად შეიძლება უფრო ადვილად საინტერესო და საყურადღებო საეთნოგრაფო მასალების შეკრება; ხშირად არც კი ესმით ხეირიანად იმ პოლიციელებს, რაა ეს ეთნოგრაფია, პირიქით თითქმის ყველანი დაცინვით, ზოგჯერ ხუმრობის კილოთი გვეუბნებიან ხოლმე, რად გინდათ ეს ნაფლეთებიო; . . . ცხადია, რომ ამნაირად ჩვენ მხოლოდ იმის შეკრება შეგვიძლიან, რაც უნახავს და რასაც გვაჩვენებს პოლიცია; ჩვენ თვითონ არ ვაკვირდებით ცხოვრებას, ზედაპირულად გაკვრით გადავავლებთ ხოლმე თვალს; ჩემის აზრით ამნაირად შეკრებილ მასალებს სრულებით შემთხვევითი ხასიათი უნდა ჰქონდეს და მეცნიერე-ბისათვის მნიშვნელობა ნახევრად დაკარგული ექნება» (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.) [36].

მკვლევარი რომ თავად უნდა აკვირდებოდეს ცხოვრებას და ზედაპირულად კი არ უნდა ავლებდეს თვალს, ეს მეთოდოლოგიური სამართლიანი და სწორი დებულებაა და ივანე ჯავახიშვილი მისი პრინციპული დამცველია. მისთვის დამაჯერებელი არ არის ინოსტრანცევის თავის მართლება, რომ ეს საქმე (ეთნოგრაფიული მასალის შეგროვება) მას არ აინტერესებს, იგი ამას მუზეუმის დავალებით აკეთებს, «ჩემი საქმე თეორიული გამოკვლევააო (ეთნოლოგია)» [36]. თეორიული განზოგადებანი ხომ უტყუარ კონკრეტულ ფაქტების ანალიზზე უნდა იყოს დამყარებული. ამიტომაც მასალათა შეგროვებას, ეს იქნება ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, თხრობითი ტექსტები, ნივთიერი ძეგლები თუ სხვა რამ უნდა ექვემდებარებოდეს მკაცრ სამეცნიერო მეთოდებს. «ცნობებისა და ჩაწერილი ტესტების ღირებულება იმაზეა მთლიანად დამოკიდებული,

როგორ არის ასეთი მასალა შეგროვებული და წერილობით აღბეჭდილი» - წერდა სხელოვანი მეცნიერი. [25,167]

ივანე ჯავახიშვილი იწუნებს ადრე შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებს, რადგან მათი შეკრება მეთოდურად გაუმართავი წესით ხდებოდა. «წინათ ეთნოგრაფები ამ წესით აგროვებდნენ ხოლმე ცნობებს, რომ თავიანთი დაკვირვება და შეკრებილი მასალა თვითონ აქვთ ხოლმე მოთხრობილი, სიტყვა - სიტყვითა კი მხოლოდ ლოცვა-ვედრებისა და კურთხევის წარსათქმელები, რასაკვირველია, ლექსად დაცულ მასალასაც (ალბათ «დაცული მასალაც» დ.ს.), მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისინი მარტო იმითაც კმაყოფილდებოდნენ, რომ აღნიშნული აქვთ მომთხრობელის, ან მთქმელის სხელ-გვარი და ჩაწერის ადგილი, ზოგჯერ არც ასეთი ცნობა მოიპოვება ხოლმე» [25,167].

სახელოვანი მეცნიერი თავად გვაძლევს საჭირო მეთოდურ მითითებას, თუ როგორ უნდა შეიკრიბოს ეთნოგრაფიული მასალა, რომ მან საისტორიო წყაროს მნიშვნელობა შეიძინოს: «ისტორიული კვლევა-ძიებისათვის უფრო მკაცრი პირობების დაცვაა საჭირო. ჩაწერილ ცნობას, მოთხრობას, თქმულებას და სხვადასხვა დანიშნულების წარსათქმელებსა და ლექსებს რომ საბუთის მაგვარი ღირსება ჰქონდეს, ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მომთხრობელს და მთქმელისაგან შეკრებილი ცნობა და სხვა ყველანაირი მასალა სიტყვა-სიტყვით იყოს აღბეჭდილი. ამასთანავე მარტო ამ მასალის მიმწოდებლის სახელგვარის აღნიშვნა საკმარისი არ არის, არამედ უნდა მისი წლოვანებაც, ჩვეულებრივი ხელობაც (მაგ. ხევისბერია, თუ კერძო პირი, თუ ხუცესია, რომელი ხატის, ადგილობრივია, თუ სხვათაგან არის მოსული, მისი მამა-პაპაც ამ საქმიანობასვე მისდევდა თუ არა), იყოს უეჭველად აღბეჭდილი ხოლმე». [25,167]. ეს მეთოდური მითითება ივანე ჯავახიშვილმა უფრო დააკონკრეტა დააზუსტა 1935 წელს, როცა მან შინამრეწველობის მასალების შეკრების საკითხი დააყენა და სათანადო სანიმუშო პროგრამაც შეადგინა. მასში ვკითხულობთ: «რაკი მომთხრობელი მოთხრობას დაიწყებს, სანამ ლაპარაკს არ დაამთავრებს, შემგროვებელმა არავითარის შეკითხვით მოთხოვა არ უნდა შეაწყვეტინოს, რომ მოთხრობის მიმდინარეობა არ დაირღვეს, არ დაიბნეს და არ დაავიწყდეს ის, რასაც იტყოდა, საუბრის ბუნებრივი მიმდინარეობა რომ არ შეწყვეტილიყო. მხოლოდ მას შემდგომ, როდესაც გარკვეულ საგანზე მონათხრობი დამთავრდება, შემგროვებელმა უნდა თავისი ჩანაწერი გადაიკითხოს და თუ იქ რაიმე გაუგებარი აღმოჩნდა, ან ისეთი სიტყვა თუ ტერმინი იყო ნახმარი, რომლის მნიშვნელობა გამოსარკვევია, მაშინ შემგროვებელმა ამ გაუგებარი, ან განუმარტავი სიტყვებისა და ტერმინების მნიშვნელობა უნდა ჰკითხოს და ეს განმარტება - მოთხრობაც ჩაასწოროს. მონათხრობი უნდა სიტყვა-სიტყვით იყოს შეუსწორებლივ ჩაწერილი და მომთხრობელის გვარი და სახელი, წლოვანება და სოფელი იყოს აღნიშნული». [37-ა,22].

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ივანე ჯავახიშვილი ზემოთ ჩამოთვლილი ამ მეთოდური პრინციპების დაცვას, ჩანს ვ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ივანე ჯავახიშვილის სახ. კაბინეტში დაცული მისივე წიგნების მინაწერებიდანაც. მას სათანადოდ დაუმუშავებია ხალხური პოეზიის ნიმუშები, რომლებიც მოცემულია ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემული «ხალხური სიტყვიერების» I ტომში და ვახტანგ კოტეტიშვილის მიერ გამოცემულ «ხალხურ პოეზიაში». პირველს თან ახლავს ხოლმე მთქმელის სადაურობაზე მითითება, რაც მეორეს - ვ. კოტეტიშვილის გამოცემას

არ გააჩნია. სახელოვან ისტორიკოსს საგულდაგულოდ შეუდარებია ისინი ერთმანეთთან და ვახტანგ კოტეტიშვილის გამოცემაზე ყველგან მიუწერია ექვთიმე თაყაიშვილის გამოცემაზე დაყრდნობით თუ ვის მიერაა ჩაწერილი და სად ესა თუ ის ლექსი, ხოლო იქ სადაც ისეთი მასალაა მოყვანილი, რომელიც ე. თაყაიშვილის გამოცემაში არაა, კითხვებია მიწერილი. ასე მაგ.:

1. გვ. 285. ლექსის «ბინდისფერია სოფელი»-ს შესახებ ვ. კოტეტიშვილი წერს: «ამ ლექსის პირველი სტროფი ბევრჯერ არის ჩაწერილი და დღესაც გავრცელებულია». ივანე ჯავახიშვილი კითხულობს: «სად? რატომ არ არის აღნიშნული?».

2. გვ. 329. ლექსი -»ქართველი ქალის ტირილი«-ის შესახებ ვ. კოტეტიშვილი ამბობს: «ეს ლექსი წარმოადგენს უძველესი თქმულებების სასიმღერო ფორმას». ივანე ჯავახიშვილი კითხულობს: «რატომ აღნიშნული არ არის სადაური თქმულება და სადმე გამოქვეყნებული იყო თუ არა?».

3. გვ. 347. ვ. კოტეტიშვილი აღნიშნავს: «სოლოლას ლექსი საკმაოდ გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოშიც». ასეთი ზოგადი მითითება ივანე ჯავახიშვილს სამართლიანად არ აკმაყოფილებს და კითხულობს: «სად სახელდობრ?».

ივანე ჯავახიშვილს მხედველობის არედან არ რჩება ის გარემოება, რომ რა სიზუსტითაც არ უნდა იყოს ჩაწერილი ტექსტი მხოლოდ ერთი პირისაგან, თუ იგი სხვა მთხრობელთანაც არ დადასტურდა, მისი სანდოობა ძალზე საეჭვო იქნება, რადგან ერთი ადამიანის საკუთარი გამოწვინი, შენათხზი შეიძლება უფრო იყოს, ვიდრე ხალხური ყოფის რეალობის ამსახველი. ამიტომ დიდი მეცნიერი ამ საკითხს საგანგებოდ გახაზავს და მოითხოვს: «თვით გადმოცემა-წარსათქმელ-ლექსების პირვანდელი და სრული სახის აღდგენისათვის, რასაკვირველია, საჭიროა, რომ ერთი და იგივე სხვადასხვა პირის მიერ იყოს სხვა და სხვა თემში (ე.ი. მხარეში, დ.ს.) და ალაგსაც მოსმენილი და ჩაწერილი». [25,167].

ასეთი წესით შეკრებილი ზეპირსიტყვიერების მასალა საისტორიო წყაროდ მას შემდეგ იქცევა, როცა იგი საგანგებო კრიტიკულ შემოწმებას გაივლის. ივანე ჯავახიშვილი თავის პრინციპს, რომ საისტორიო წყარო უკრიტიკოდ არ შეიძლება გამოყენებულ იქნას, არც აქ ღალატობს. იგი ხაზგასმით მოითხოვს: «ზემოთაღნიშნული წესით შეკრებილი ზეპირსიტყვიერებითი მასალა რომ ისტორიკოსისათვის გამოსადეგი გახდეს, უნდა წინასწარი იმავე ფილოლოგიური და ისტორიული კრიტიკისა და თარგმანების მეთოდებით, რომლითაც ძველი წერილობითი ძეგლების განხილვის დროს ვსარგებლობთ, ასეთი ზეპირსიტყვიერებითი ძეგლებიც იყოს შესწავლილი. ამ გზით და ღონეობითსაშუალება გვექნება ძველს ნაწილს მერმინდელი შენაერთი, როგორც სიტყვიერი მარაგი, ისე ცნება-წარმოდგენათა ფენები ქრონოლოგიურად განსაზღვრული შრეების მსგავსად გამოვაცალკევოთ და მის თავდაპირველ შედგენილობას მივაგნოთ». (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.) [25,168].

რატომაა ეს საჭირო? რატომაა იგივე მეთოდებით გასაცხრილი ზეპირსიტყვიერების ძეგლები, რითაც წერილობითი წყაროები? ამის პასუხი თავად ივანე ჯავახიშვილს მოეპოვება: «კარგად ცნობილია, რომ დროთა განმავლობაში წერილობით აღბეჭდილი ძეგლიც თუ მისმა ნუსხა-დედანმა - კი არა, არამედ მხოლოდ მერმინდელმა, მოგვიანებულმა გარდანაწერებმა მოაღწია, თხზულებათა, თუ საბუთის ტექსტი იშვიათად თუ არის ხოლმე იმ სახით დაცული, როგორც ავტორსა ჰქონდა დაწერილი:

მერმინდელ გადამწერთა უნებლიეთი, თუ ნებსითი შეცდომით, შესწორებითა და ზოგჯერ ჩანართებითურთაც შეცვლილი და დამახინჯებულია ხოლმე იგი. მით უმეტეს ბუნებრივია, რომ ასეთი ცვლილებები და ჩანართები და შერეული ადგილები გვექონდეს ზეპირსიტყვიერებაში. უეჭველია ხალხურს მეხსიერებასა და ზეპირსიტყვიერებას უძველესი ხანის ზნე - ჩვეულებანი, მსოფლმხედველობა და რწმენა, ზღაპრები და თქმულებები, ლოცვა-სავედრებლობითი წარსათქმელები და წარმართული ხანის სიმღერა - ლექსები [შემონახული აქვს], მაგრამ, თუ წერილობითი ძეგლებიც კი დროის გავლენის სიდუხჭირეს ვერ გადაურჩა, წარმოუდგენელია, რომ ზეპირსიტყვიერების სახით დაცულს გადმოცემასა და ტექსტს საუკუნეთა განმავლობაში ჩვენამდის უცვლელად მოედწია (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) და სხვადასხვა დროსა და წრის ადგილების არაერთი ფენით არ იყოს აჭრელებულ-შეცვლილი» [25,167-168].

ივანე ჯავახიშვილის ეს სტრიქონები ამოღებულია მისივე «ქართველი ერის ისტორიის შესავლად» განკუთვნილი შრომიდან, რომელიც მისი გარდაცვალების მერე დაიბეჭდა და მისი რედაქტორის გ. ჩიტაიას ვარაუდით დაწერილია 1930-1940 წწ-ში [25,9].

აქედან ცხადი ხდება, თუ როგორ შეიცვლებოდა ქართულ წარმართობაზე დიდი მეცნიერის თვალსაზრისი მას რომ სიცოცხლე დასცლოდა, მართალია ძნელი სათქმელია, საბოლოოდ რა დასკვნებს შემოგვთავაზებდა დიდი მეცნიერი, მაგრამ არსებულ მასალას «ცნობა-წარმოდგენათა ფენებს» რომ იგი «ქრონოლოგიურად განსაზღვრული შრეების» მიხედვით გამოაცალკევებდა, ნათელია. ეს გარემოება აუცილებლად უნდა გვექონდეს მხედველობაში, როცა ზეპირსიტყვიერი მასალის საფუძველზე ქართველი ერის ყოფა-ცხოვრების ხასიათზე და წესებზე ვსაუბრობთ. ეს თანაბრად ეხება როგორც ირაციონალური წარმოდგენების სფეროს, ასევე ქართული ყოფითი ცხოვრების საკითხებსაც. თითოეულ მკვლევარს სანიმუშოდ უნდა ჰქონდეს არა ქართული წარმართობის შესახებ გამოთქმული მიხედვულებები, არამედ ამ საკითხების გასარკვევად საჭირო მასალების დამუშავებისათვის გამოთქმული მეთოდოლოგიური ხასიათის შენიშვნები. კერძოდ კი ყოველთვის უნდა მხედველობაში იყოს მიღებული და არასოდეს დავიწყებული ივანე ჯავახიშვილის შეგონება: «ერის თანამედროვე ზნე-ჩვეულებეთა სათანადოდ გამოყენებისათვის წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა არის აუცილებლად საჭირო».

ქართული ყოფითი კულტურის კვლევისათვის მნიშვნელოვან მეთოდო-ლოგიურ დებულებებს ვხვდებით ივანე ჯავახიშვილის «საქართველოს ეკონომიურ ისტორიაშიც». სახელოვანი მეცნიერი ჩივის წყაროების სიმცირეზე ეკონომიკური ისტორიის დასაწერად. «ამის გამო ეკონომიური ისტორიის აღსადგენად მკვლევარი იძულებულია და ვალდებულიც საჭირო ცნობები ეძიოს და ყოველგვარი წყაროები გამოიყენოს» [21,23]. მართალია აქ ეკონომიკურ ისტორიაზეა საუბარი, მაგრამ ეს დებულება სრულიად თავისუფლად შეიძლება ყოფითი კულტურის შესახებაც მისაღებად ჩავთვალოთ. ამის მაგალითს თავად გვაძლევს «ყოფა-ცხოვრების წესებისა და ზნე-ჩვეულებების და ნივთიერი კულტურის ისტორია»-ში. აქ იგი ფართოდ იყენებს ნივთიერ მასალებს (ხუთმოდღვრება, სამოსი, ავეჯი, ჭურჭელი, იარაღი), ფრესკებს, ხელნაწერთა მხატვრობას, და ა.შ. ზემოხსენებულ ნაშრომს რომ დავაკვირდეთ შეგვექმნება შთაბეჭდილება თითქოს იგი მართლაც მატერიალური კულტურის ისტორიას წარმოადგენს, ამ შთაბეჭდილებას ქმნის ის გარემოება, რომ თითოეულ მატერიალური

კულტურის ელემენტზე ძალზე დაწვრილებითაა საუბარი. მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ საკითხი აბსოლუტურად შეუსწავლელია და განზოგადებით წერა შეუძლებელი თუ კი სათანადო კვლევა-ძიება არ ჩატარდებოდა. ამდენად ამ საკითხზეც იგივეს თქმა შეიძლება, რასაც საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესახებ ამბობდა სახელოვანი ისტორიკოსი: «საქართველოს ისტორიის მეცნიერული კრიტიკულ შესწავლას ჯერ იმ დონემდე არ მიუღწევია, რა დონეზეც ძველი საბერძნეთისა, რომისა და დასავლეთ ევროპის ისტორია იმყოფება, რომ ისტორიკოსმა ძირითადი ფაქტების უცილობლობის წყალობით თითქმის სრულებით დაუსაბუთებლად სწერს და მარტო ზოგადი პრობლემების განხილვით იყოს გატაცებული» [19,40]. მით უმეტეს, უფრო სავალალო მდგომარეობა იყო ქართული ყოფითი-ცხოვრების ისტორიის შესწავლის საქმეში. გავიხსენოთ ივანე ჯავახიშვილის წერილი ვ. დონდუასადმი, სადაც აღნიშნულია, რომ «ამ დარგში მომზადებული პირები არ გვყვანან» და «საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და ნივთიერი კულტურის ისტორიაზე ჩემს გარდა არავინ მუშაობს»-ო. [32,44]. ამიტომ საჭირო იყო უაღრესად წვრილმანი საკითხების გამოკვლევაც, რომ შემდგომ ზოგად სურათზე მსჯელობა შესაძლებელი გამხდარიყო. სწორედ ამიტომაც ასეგადატვირთული სხვადასხვა საკითხებით ივ. ჯავახიშვილის ხელნაწერი ნაშრომი «ყოფა-ცხოვრების წესებისა და ზნე-ჩვეულების და ნივთიერი კულტურის ისტორია».<sup>3</sup> ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ავტორს ეს ნაშრომი სასტამბოდ გამზადებული სახით არ დაუტოვებია და ვინ იცის საბოლოოდ რა სახით შემოგვთავაზებდა ალბათ ამის გამო გაუძნელდათ სხვადასხვა მკვლევართ მასში ქართული ეტიკეტის კვლევის შემჩნევა და ყველას პირზე «მატერიალური კულტურა» აკერიათ.

ივანე ჯავახიშვილი ლენინგრადში მყოფ. ვ. დონდუას სწერდა: დ. ბელიაევის «Bizantia» მჭირდებაო, რადგან მასში «მოთავსებულია «Основ главных частей Большого Дворца». საართველოს მეფეთა დარბაზის გეგმის აღსადგენად შედარებითი მიზნით მესაჭიროება» [32,49]. «დარბაზის გეგმა» არქიტექტურული ელემენტია, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართული ხუროთმოძღვრების საკითხის გარკვევის წადილი იმდენად არ ჩანს, რამდენადაც სამეფო სასახლეზე წარმოდგენის შექმნა, ე.ი. სამეფო სახლის ყოფაზე. სწორედ ეს საკითხებია განხილული კიდევაც ბელიაევის ნაშრომში. წერილის ამ მონაკვეთში ივანე ჯავახიშვილის მეთოდოლოგიური პრინციპიც ჩანს - შედარების გზით გამოიკვლიოს საინტერესო საკითხი. ეს დებულება მას უფრო ნათლად ჩამოყალიბებული აქვს «ქართული სამართლის ისტორიაში», როცა ნ. ხიზანიშვილის (ნ. ურბნელის) ღვაწლს ახასიათებდა. სახელოვანი ისტორიკოსი წერდა: «იმ ნაკლის თავიდან ასაცილებლად» რომელნიც ნ. ურბნელის ნაშრომებს თან სდევდა, ქართული სამართლის ისტორიის შესავლა უნდა უძველესი დროითგან დაწყებულიყო ყველა ამისათვის გამოსადეგი მასალის გამოყენებით, სამართლის ძეგლების ტექსტის წინასწარი კრიტიკული შესწავლითა და პირვანდელი სახის აღდგენით, იურიდიული ძველი ქართული ტერმინოლოგიის ზედმიწევნითი მნიშვნელობის გამორკვევითა და ქართულ-იურიდიულ დაწესებულებათა ბუნების გამორკვევის, შემდგომ სხვა მეზობელ, გინდა შორეულ, მაგრამ ოდესმე საქართველოსთან დაკავშირებულ ერთა ასეთივე

<sup>3</sup> ამის შესახებ იხ. დ. სართანია, ივანე ჯავახიშვილი და ქართული ისტორიის საკითხები. თბ. 2002.

დაწესებულებებთან შედარებითი შესწავლით, ქართული ამა თუ იმ ინსტიტუტის წარმოშობილობის გასაგებად და ღირებულების დასაფასებლად. ამ მიზნის მისაღწევად ხანგრძლივი გულდასმითი მუშაობა იყო საჭირო შემოდასახელებული გეგმისდა მიხედვით. წინამდებარე ნაშრომი «ქართული სამართლის ისტორია» სწორედ ასეთი ხანგრძლივი მეთოდური მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს» [22,15-16].

თუ ყურადღებით განვიხილავთ ივანე ჯავახიშვილის ხელნაწერ ნაშრომს «ყოფაცხოვრების წესებისა და ზნე-ჩვეულებების და ნივთიერი კულტურის ისტორია», დავინახავთ რომ იგიც «სწორედ ასეთი მეთოდური მუშაობის ნაყოფს. წარმოადგენს», თუმცა ბოლომდე მოყვანილი ფორმით, მასში შემოთხსენებული მეთოდური პრინციპების არაერთ დადასტურებას ვიპოვით.

ივანე ჯავახიშვილი ვ. დონდუას სწერდა: „ბატონო ვარლამ, მანდ ყოფნის დროს სააზიო მუზეუმში რომ ბროსესაგან დარჩენილ მასალებზე ვმუშაობდი, ხელნაწერი კატალოგის მიხედვით ვიპოვე მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის ფერადებით გადმოღებული ისტორიული პირების კედლის მხატვრობის გარდმონახატები. თუ არ ვცდები, ბროსეს დავალებით პლატონ იოსელიანმა ერთ იტალიელ მხატვარს გარდმოაღებინა ეს პირები. ამ გარდმონახატთა შორის ზოგიერთი უკვე აღარ არსებობს. მართალია, გადარჩენილთ ამ იტალიელ მხატვრის ნამუშევართაგან შედარებამ დამრწმუნა, რომ მას სახეების ხატვა არ სცოდნია და მისი გარდმონახატები დედანს არ მიაგავს, მაგრამ ამ მხრივ რაღა ეშველება. მე ეს პირები ქართული ტანისამოსის, თავსაბურავისა და ფეხსაცმლის ისტორიისათვის მჭირდება. ამ მხრივ ის სანდოა» [32,53]. ე.ი. ივანე ჯავახიშვილი აფართოებს წყაროთმცოდნეობით ბაზას და კედლის მხატვრობის ნიმუშებს იშველიებს ყოფაცხოვრებისა და ნივთიერი კულტურის ისტორიის გასაშუქებლად. ამ მხრივ იგი აღფრთოვანებულია ვახუშტი ბატონიშვილის შრომით. იგი წერს: „ძველებური ჩაცმა-დახურვა მას შესაფერის სიცხადითა და დაკვირვებით აქვს დასურათებული. მკითხველს ალბათ უნებლიეთ თავში აზრი გაუელვებს, მერე საითგან უნდა სცოდნოდა ვახუშტს ქართველთა ძველი ტანისამოსი და თავსაბურავ-ფეხსაცმელი? მართლაც და ეს საკითხი საყურადღებოა და მეთოდოლოგიურად დიდმნიშვნელოვანი არის . . . როგორც ყოველთვის აქაც ვახუშტს დაუსაბუთებლად არა აქვს რა ნათქვამი და თავისი აღწერილობის სიმართლის დასამტკიცებლად იგი ამბობს: ძველად ქართველებს ამგვარად ეცვათ და ეხურათო, „ვითარცა იცნობიან ნახატთა ზედა«-ო . . . მამასადამე, მეცნიერ ბატონიშვილს ქართულ ისტორიულ ჩაცმა-დახურვის გამოსარკვევად საისტორიო მხატვრობისათვის მიუმართავს, ეკლესიების კედლებზე და ხელთნაწერებში შენახული ძველი სურათებისდა მიხედვით გამოურკვევია მას ეს დიდ-მნიშვნელოვანი და საგულისხმო საკითხი. საუცხოვო და ამასთანავე თითქმის ერთადერთი მეთოდოლოგიური საშუალება არის!» (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) [23,44].

ამ მეთოდოლოგიურ პრინციპს - ფრესკებისა და ხელნაწერთა მხატვრობის გამოყენება საისტორიო წყაროდ და ამ შემთხვევაში ქართული ყოფაცხოვრების ისტორიის გასაშუქებლად, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი მიმართავს და რომელიც აგრე მოსწონს სახელოვან ისტორიკოსს, თავადაც იყენებს თავის სამეცნიერო კვლევა-ძიებისას. ეს მტკიცდება მისი ხელნაწერი ნაშრომის გაცნობით და აგრეთვე ამის შესახებ თავადაც აღნიშნავს შოთა რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით მოსაწყობი

გამოფენის შესახებ წერილში. იგი ტანისამოსის, ავეჯის, აბჯრისა და ყოველგვარი ნივთიერი მასალის შესახებ ინფორმაციის მიღებას სწორედ ისტორიული კედლის მხატვრობისა და მინიატურების მიხედვით ლამობს. მოვუსმინოთ თავად სახელოვან ისტორიკოსს: „რაკი იმდროინდელი არც ტანისამოსი და არც ავეჯი გადარჩენილი არ არის და არც არავითარი იმედი შეიძლება გვქონდეს, რომ არქეოლოგიური გათხრებითაც კარგად დაცული ამნაირი მნიშვნელოვანი ნაშთი ოდესმე აღმოჩნდეს, ამიტომ ამ დანაკლისის ანაზღაურება და შევსება შემდეგი საშუალებით დავისახე თუ თვით ტანისამოსის, თავსაბურავსა და ფეხსაცმელს ისევე, როგორც ავეჯსა, ჭურჭელსა და იარაღს ჩვენამდის ან სრულიად არ მოუღწევია, ან მცირე რაოდენობით (ჭურჭელი, იარაღი), სამაგიეროდ ისტორიული პირების კედლის მხატვრობა მოგვეპოვება, სწორედ ამის მიხედვით შესაძლებელია მკვლევარმა მაშინდელი ტანისამოსი, თავსაბურავი და ფეხსაცმელი საკმაოდ კარგად აღადგინოს.

კედლის მხატვრობით აღბეჭდილი ისტორიული პირების ჩაცმულობის, თავსაბურავისა, და იარაღის ხელნაწერებში დაცულ მინიატურებთან შედარებითმა შესწავლამ დამარწმუნდა, რომ მხატვრობის ამ უკანასკნელი დარგის ძეგლებში ბევრგან ისეთვე ჩაცმულობა, ქსოვილის სახეები, თავსაბურავი, სამკაული და იარაღია წარმოდგენილი, როგორც ისტორიულ მხატვრობაში გვხვდება. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს, რა თქმა უნდა, სათანადო სიფრთხილის დაცვითა და წინასწარი კვლევა-ძიების შემდგომ იმდროინდელს საქართველოში გავრცელებული ჩაცმა-დახურვის წესის შესასწავლად და აღსადგენად ხელნაწერებში დაცული მასალაც გამოვიყენოთ. ამ დაკვირვებასა და დასკვნას იმიტომაც აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ კედლის მხატვრობაში მხოლოდ მეფე-დედოფლისა და მაღალი წრის წევრების, ვაზირებისა და ერისთავების (ზოგჯერ მათი მეუღლეებისაც) სურათები მოგვეპოვება, ჩვენ კი ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელთა ჩაცმულობა უნდა ვიცოდეთ . . . საბედნიეროდ, საამისო მასალებიც არის გადარჩენილი. ეს სწორედ ზოგს ხელნაწერში დაცული მინიატურების გამოყენებით შეიძლება; ამ გზით მოპოვებული მასალა მკვლევარს საშუალებას აძლევს საშუალო და დაბალი სოციალური ფენის, ქალისა და კაცის, მოზრდილისა და ბავშვის, ვაჭრისა, მიწათმოქმედისა და მწყემსის მაშინდელი ჩაცმულობაც გამოარკვიოს» [30,51-51].

მთელ ამ მეთოდოლოგიურ და წყაროთმცოდნეობით არსენალს იყენებს სახელოვანი ისტორიკოსი თავის ხელნაწერ შრომაში „ყოფა-ცხოვრების წესებისა და ზნე-ჩვეულებების და ნივთიერი კულტურის ისტორია». ზემოთ საკმაოდ იყო საუბარი ამ ნაშრომში განხილული ორი ძირითადი თემის ყოფა-ცხოვრებისა და ნივთიერი კულტურის ერთიანობაში განხილვის მიზანშეწონილობაზე, რომ ივანე ჯავახიშვილს ამით სურდა პასუხი გაეცა კითხვაზე თუ როგორ ცხოვრობდნენძველ დროში ქართველები. ასეთი მიზანი შეუძლებელს ხდის ერთმანეთს დავაცილოთ ერთი შეხედვით ძალზე შორს მყოფი საკითხები, როგორცაა ერთის მხრივ, ნივთიერი კულტურა და, მეორე მხრივ, ყოფა-ცხოვრების წესები. სსხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ დაცილების შეუძლებლობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ადამიანის წარმოდგენა მთლიანობაში მოითხოვს მის ყოველდღი-ურობის ჩვენებას, თავისი ყოფა-ცხოვრების წესებით, მის საცხოვრებელ გარემოში არსებული საგნებთან კავშირში. თუმცა ამ საკითხზე ივ. ჯავახიშვილს არ დაუტოვებია რაიმე თეორიული მოსაზრება, მაგრამ მის

მიერ პრაქტიკულად განხორციელებული ფაქტიდან შესაძლებელია ვთქვათ, რომ მან ეს ყოველივე შესანიშნავად განჭვრიტა და შეუდგა კიდევაც მის ხორცშესხმას.

## 7. ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი სიტყვაკაზმული მწერლობის საისტორიო წყარდ გამოყენების თაობაზე

არჩილ მეფე თავის თხზულებაში «გაბაასება თეიმურაზისა და რუსთა-ველისა» შესავალშივე აღნიშნავს, “სხვას ზღაპრულს ამბავს ესევე მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად; და არცა რა ამაში ტყუილი წერია ერთის მეფისა და რუსთაველის პირდაპირ გაბაასების მეტი”. [1,7]. როგორც ამ ციტატიდან ჩანს, არჩილს ტყუილად, სიცრუედ, ისტორიულად არარსებული, არმომხდარი ამბის, შეთხზვა მიაჩნია და პოეტის ღირსებად «ზღაპრულის» ნაცვლად “მართალი ამბის” გალექსვა ჰგონია.

მეფე არჩილი XVII საუკუნეში ცხოვრობდა და მისი ეს თვალსაზრისი მოცემული ხანის საქართველოს ისტორიული რეალობით იყო განპირობებული. XX საუკუნეში კი მხატვრულ ლიტერატურაში “ტყუილისა” და «მართლის” საკითხი კვლავ დადგა, ოღონდ ახლა არა ლიტერატურის ესთეტიკის, არამედ საისტორიო წყაროს თვალსაზრისით. იგი უკავშირდება დიდ ქართველ ისტორიკოსს ივანე ჯავახიშვილს.

როცა ივანე ჯავახიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა, ქართული ისტორიოგრაფიის წყაროთმცოდნეობის ბაზა ძალზე მწირი იყო, რომლის შესახებ იგი 1915წ. თავადვე აღნიშნავდა. “თანამედროვე საისტორიო მწერლობის ერთ-ერთ ნაკლად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ ქართლის ცხოვრებისა და სიგელგურჯებით იყო და არის განსაკუთრებით გატაცებული და ქართული საისტორიო წყაროების სხვა დარგებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ამის გამოა, რომ აქამდის თითქმის სრულეებით ხელუხლებელი დევს, [და] «მანცდამანც სრულიად შეუსწავლელი იყო ისეთი საყურადღებო, შინაარსიანი და დიდმნიშვნელოვანი დარგი, როგორც არის ქართველ მარტვილთა და წმინდანთაცხოვრებანი.” [23,26]. დღეს ჩვენ მარტვილთა და წმინდანთა ცხოვრებისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს სიტყვაკაზმულ მწერლობას მივაკუთვნებთ. თავის დროზე კი ასეთი მკაცრი გამიჯვნა მწერლობის დარგებს შორის არ არსებობდა. მარტვილთა და წმინდანთა ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები კი მართლაც მრავალ საყურადღებო ცნობებს შეიცავდა ქართველი ერის ისტორიის სხვადასხვა საკითხის გასაშუქებლად. ამის გამო ივანე ჯავახიშვილმა ამ რიგის მწერლობის ნიმუშები ფართოდ შემოიტანა საისტორიო კვლევა-ძიების პროცესში. თუმცა, მართლაც მხატვრულ, საერო ლიტერატურას ამ თვალსაზრისით სკეპტიკურად უყურებდა. ამ მხრივ ერთ საინტერესო შემთხვევას გვიამბობს ივანე ჯავახიშვილის მოწაფე ისტორიკოსი აბელ კიკვიძე:

საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე “1924 წელს ალ. წერეთელმა წაიკითხა მოხსენება - “ჰომეროსის საბერძნეთი”. მომხსენებელი შეეხო IX-VIII საუკუნეების საბერძნეთის სოციალ-ეკონომიკურ კულტურულ ვითარებას. საკითხები თანმიმდევრობით და კარგად იყო დალაგებული. კამათში არავინ გამოსულა, გარდა სხდომის თავმჯდომარისა. თავმჯდომარემ ივ. ჯავახიშვილმა მომხსენებლის არგუმენტაცია მეცნიერული ისტორიისათვის დამაკმაყოფილებლად არ ჩათვალა, თუმცა მიუთითა, რომ მოხსენება მნიშვნელობას არ არისო მოკლებული. ივ. ჯავახიშვილი აცხადებდა, მეცნიერება სინამდვილის სწორი სურათის აღსადგენად ვერ დაემყარება

პოეტურ ნაწარმოებებს, პოეტებს თავიანთი სამყარო აქვთ, სინამდვილისაგან შორს მდგარი. ასე, რომ მარტო “ილიადა” და “ოდისეა” ვერ აგვიხსნიის ჩვენ საბერძნეთის ისტორიის იმ ხანას, რომელსაც ჰომეროსი მიეკუთვნება. საჭიროა ისტორიული წყაროები, ამ წყაროების შესწავლა და მისი სათანადო ანალიზი. მომხსენებლს პასუხი: მართალია, მხოლოდ ჰომეროსის ნაწარმოებებს ვემყარები და სხვა წყაროები არც არსებობს ამ ხანის შესახებ, მაგრამ მე მინდოდა მაინც შემესო ის ხარვეზი, რომელსაც IX-VIII საუკუნის საბერძნეთის ისტორიის შესახებ მეცნიერებაში აქვს ადგილი. “დაე, ხარვეზი ხარვეზად დარჩეს და ფანტაზიის ნაყოფს ისტორიულ რეალურ წყაროდ ნუ მივიჩნევთ,” უპასუხა ივ. ჯავახიშვილმა” (11, 12).

1934 წელს გამოსულ “საქართველოს ეკონომიური ისტორიის” II წიგნში ივანე ჯავახიშვილი ფართოდ იყენებს რუსთაველის, არჩილის, ქართული “ვისრამიანის” და სხვა მხატვრული ძეგლების ცნობებს. ამ მხრივ ასეთი ცნობები უფრო მრავლადაა გამოყენებული ქართული ყოფა-ცხოვრების და ნივთიერი კულტურის ისტორიისადმი მიძღვნილ ხელნაწერში. რა ხდება? ავტორმა პოზიცია შეიცვალა? როგორც ირკვევა, ამ გარემოების გაგებაში დაგვეხმარება ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი “ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია”, რომელიც პირველად 1938 წელს გამოქვეყნდა. მასში ვკითხულობთ: “თუ წინათ ილია ჭავჭავაძის საქართველოს ისტორიისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ მსჯელობა მხოლოდ მისი ისტორიული პოემების მიხედვით შეიძლებოდა, 1927 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენი დიდებული მოღვაწის ნაწერების სრული კრებულის მე-5 ტომი გამოვიდა, მკვლევარს სრული საშუალება მიეცა ეს საკითხი უკვე ვრცლად და ბევრი სხვა მის ნაშრომის მიხედვით განეხილა. მგონია, რომ ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციისა და მისი მოღვაწეობის ამ დარგში მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ჩვენი მგონის ისტორიული პოემების გამოყენება არც საჭიროა და არც მართებული. პოემები ხომ არსებითად მხატვრული ნაწარმოებებია და მიზნადაც იქ ავტორს საქართველოს ისტორიის დაწერა არ ჰქონია დასახული (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) ამიტომაც ილია ჭავჭავაძის შეხედულებათა გამოსაკვლევად და იმ წვლილის ცხადსაყოფად, რომელიც მას საქართველოს ისტორიის გაშუქებაში შეტანილი აქვს, მისი ისტორიული პოემები არც გამომიყენებია” [29,76]. ე.ი. ივანე ჯავახიშვილი კვლავა იგივე აზრზეა, რომ მხატვრული ნაწარმოებები არ უნდა გამოვიყენოთ საისტორიო წყაროებად. მაგრამ, აქ თავს იჩენს ერთი “მაგრამ”:

შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანთან” დაკავშირებით დიდი ისტორიკოსი მიუთითებს, რომ “პოემაში აისახა ის პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც იმ დროის საქართველოში არსებობდა” [30-ა,18]. საინტერესო იქნება ცოტა უფრო ვრცლად მოვისმინოთ დიდი ისტორიკოსის აზრი ამ საკითხზე: “რა თქმა უნდა გენიალური პოეტის ქმნილება პოლიტიკური ტრაქტატი როდია და, როდესაც შოთა რუსთაველი წერდა, მას არ ჰქონია განზრახვა მოეცა ჩვენთვის ყოველივე ამის ამომწურავი ახსნა, რაც ამ დროს ქართველი საზოგადოების მოწინავე ფენებს აღელვებდა. მაგრამ ქმნიდა რა დიდ მხატვრულ პოემას, იგი თავისი სამშობლოს მწვავე საკითხებით აღელვებული, თავის უკვდავ ნაწარმოებში გადმოგვცემდა ყველა თავის მისწრაფებას, ყველა იმ იდეას, რომელთა სრული გამარჯვებაც მას სურდა ეხილა მაშინდელ საქართველოში. მე არ შევეხები იმ საკითხს, თუ რამდენად ახლოა ჭეშმარიტებასთან საქართველოს ისტორიული ცხოვრების ის სურათი, რომელიც მოცემულია შოთა რუსთაველის

პოემაში. შესაძლებლობა რომ მქონდეს განვიხილო ეს საკითხი მატერიალური კულტურის თვალსაზრისით, ძნელი არ იქნებოდა დამემტკიცებინა, რომ ამ პოემაში გადმოცემულია ცხოვრების ისეთი პირობები, ისეთი ჩვეულებანი, რომელიც მაშინდელ საქართველოში არსებობდა (ხაზგასმა ყველგან ჩემია, დ.ს.). თუმცა იქ დასახელებულნი არიან არაბები, სპარსელები, ინდონი, ხატაელნი, მაგრამ ისინი აზროვნებენ, ცხოვრობენ, იბრძვიან სრულებითაც არა ისე, როგორც ეს იქნებოდა იმ ქვეყნებში, რომლებიც იქ დასახელებულია. შოთა რუსთაველის გმირებშიქართველის გული ძგერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებს” [30-ა,18].

თუ ერთმანეთს შევადაროთ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებებს შოთა რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით საისტორიო პროცესისა და საისტორიო საკითხების გააზრების შესახებ, სხვაობას ადვილად შევამჩნევდით: პირველის მიმართ ნათქვამია, შოთა რუსთაველი «ქმნიდა რა დიდ მხატვრულ პოემას, იგი თავისი სამშობლოს მწვავე საკითხებით აღელვებული თავის უკვდავ ნაწარმოებში გადმოგვცემდა ყველა თავის აზრს, ყველა თავის მისწრაფებას, ყველა იმ იდეალს, რომელთა სრული გამარჯვებაც მას სურდა ეხილა მაშინდელ საქართველოში», მაგრამ განა ამ სიტყვების მისადაგება არ შეიძლება ილია ჭავჭავაძისადმი? დიახ შეიძლება, მაგრამ ივანე ჯავახიშვილი კატეგორიულად ამბობს: რომ “ილია ჭავჭავაძის ისტორიული კონცეფციისა და მისი მოღვაწეობის ამ დარგში მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ჩვენი მგოსნის ისტორიული პოემების გამოყენება არც საჭიროა და არც მართებული. “რატომ? რით უნდა აიხსნას ეს გაორება? თუ კარგად დავაკვირდებით არავითარი გაორება არ არსებობს. ივანე ჯავახიშვილი გვეუბნება, რომ “თუ წინათ ილია ჭავჭავაძის საქართველოს ისტორიისადმი დამოკიდებულების საკითხის შესახებ მსჯელობა მხოლოდ მისი ისტორიული პოემების მიხედვით შეიძლებოდა, 1927 წლის შემდეგ, როდესაც ჩვენი დიდებული მოღვაწის შრომების მე-5 ტომი გამოვიდა”, მკვლევარს საშუალება მიეცა მხატვრული ნაწარმის გარეშეც გაერკვია დიდი მოღვაწის შეხედულებები, მით უმეტეს, როდესაც მას ამ მხრივ თავისი მოსაზრებები წერილობით აქვს ჩამოყალიბებული. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური საისტორიო წერილების გარდა მხატვრულ ნაწარმოებებში განსხვავებული კონცეფციის გათვალსაზრისებაც არ იქნებოდა ინტერესმოკლებული.

ვფიქრობთ, გასაგები უნდა იყოს ივანე ჯავახიშვილის პოზიცია, თუ კი გავითვალისწინებთ ამ ეპოქებს, რომლებშიც მოღვაწეობდნენ ერთი მხრივ შოთა რუსთაველი და მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძე. ილიასდროინდელი საისტორიო საკითხების ამსახველი მასალები ძალზე ბევრია, რასაც ვერ ვიტყვით შოთა რუსთაველის ეპოქაზე. ამიტომაც ძველი პერიოდის გასაშუქებლად მხატვრულ ნიმუშებს მეტი მნიშვნელობა ეძლევა. თუ ეს აზრი სწორია, მაშინ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობის მქონედ უნდა მიეჩნია ივანე ჯავახიშვილს ჰომეროსის პოემები, არადა, როგორც ზემოთ ითქვა, მათ მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი.

მოცემულ საკითხზე თავისი აზრი უფრო კონკრეტულად და თვალსაჩინოდ აქვს გამოთქმული ივანე ჯავახიშვილს მის პირად არქივში დაცულ ერთხელნაწერში, სადაც ვკითხულობთ: “საგმირო ეპოსით მაგ. ჰომეროსის პოემებით ვითარცა საისტორიო ძეგლით სარგებლობა და იმაზე დამყარებული სურათის ისტორიასთან ცხოვრების სინამდვილედ მიჩნევა, როგორც ვიპპერი და სხვებიც სჩადიან, შეცდომაა, რადგან აქ,

ჯერ ერთი, სხვადასხვა დროსა და ვგონებ ტომის [მიერ შექმნილ] ნაწარმოებთან გვაქვს საქმე, რომელიც შემდეგ საერთო რედაქტორის ხელმა შეაკეთა და შეცვალა და თანაც, რადგან აქ უმთავრესად თქმულებაზე დამყარებულ პოეტურ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე და არა ისტორიული ცხოვრების უტყუარ აღწერილობასთან, ჰომეროსის თხზულების საისტორიო ყოფა-ცხოვრების აღსადგენად, ვითარცა საისტორიო ძეგლის გამოყენება, იმგვარივრივე შეცდომაა, როგორც მოუვიდოდა მკვლევარს, რომ სპარსეთის სახელმწიფოს სოციალ-კულტურული მდგომარეობის გამოკვლევა აქემენელთა და სასანელთა ხანაში ფირდოუსის “შაჰნამეს” მიხედვით დაეწყო. ლურსმნული ძეგლები და ფალაური დამწერლობა, ბერძნული, ასურული, სომხური, ქართული, არაბული წყაროების არსებობა და თვით ფირდოუსის თხზულების წარმოშობისა და წინამორბედთა ნაშრომთა შესწავლა (Nolder Nathonulepos) ცხადჰყოფს, რადგან შეცდომა მოგვივიდოდა, რომ ფირდოუსის სურათი სინამდვილედ მიგვეჩნია” [35, საზოგადო შესავალი, გ. 2]. როგორც ამ საარქივო მასალიდან ირკვევა, ივანე ჯავახიშვილი იზიარებს თვალსაზრისს, რომ ჰომეროსი “ილიადასა” და “ოდისეას” შემკრებ-რედაქტორია და არა ავტორი. აქედან გამომდინარე, მართლაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ტომის წარმომადგენლების მიერ შექმნილი ნაწარმოებების ერთი რედაქტორის მიერ გადამუშავებული ჩვენამდე მოღწეული ვერსია საისტორიო სინამდვილის ზედმიწევნით ამსახველი ვერ იქნებოდა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილისთვის შეუძლებელია შლიმანის გათხრები ყოფილიყო უცნობი, რომელმაც სწორედ ჰომეროსის პოემების მიხედვით იპოვა ტროა. თუმცა ეს სხვა საკითხია და ჩვენ საქართველოს სინამდვილეს დავუბრუნდეთ.

“ილიადას” და “ოდისეას” შემქმნელის ვინაობა და შექმნის დრო ივანე ჯავახიშვილს ბოლომდე გარკვეულად და დადგენილად არ მოაჩნია, მაშინ როდესაც რუსთაველის მიმართ მას ასეთი ეჭვები აღარ აქვს, და მისი პოემა ეპოქის სინამდვილის ანარეკლად წარმოუდგება. ივანე ჯავახიშვილს მარტო საისტორიო ხასიათის კონცეფციები არ არინტერესებს, არამედ ის კონკრეტული რეალიებიც, რომლებიც ამ ნაწარმოებებშია ფიქსირებული. იგი ძალზე ხშირად მიმართავს რუსთაველის, არჩილის, თეომურაზ II-ის, ფეშანგის და სხვათა მხატვრულ თხზულებებს და აგრეთვე ქართულად ნათარგმნ “ვისრამიანსა” და “შაჰნამეს”. იმის გასაგებად, თუ რატომ იყენებს თვითონ ასეთ ძეგლებს და რატომ სარგებლობს უხვად მათი ინფორმაციით, უნდა დავაკვირდეთ, რა სახის საკითხებისგასარკვევად მოიხმობს ამგვარ წყაროთა მონაცემებს ივანე ჯავახიშვილი. ესაა ძირითადი კულტურული, სამეურნეო-ყოფითი ურთიერთობები და რეალიები. სწორედ ასეთი საკითხების - ჩაცმულობა, ავეჯი, სასოფლო-სამეურნეო კულტურები, სხვა ყოფითი რეალიების გასარკვევად მიმართავს დიდი ისტორიკოსი ერთის მხრივ, „ვეფხისტყაოსანს», „შაჰნავაზიანს», „არჩილიანს» და, მეორეს მხრივ, „ვისრამიანსა» და «შაჰნამეს» ძველ ქართულ თარგმანებს, რომელთაც მართლაც ამ შემთხვევაში ისტორიული დოკუმენტის მნიშვნელობა ენიჭებათ. მართლაც პოეტი ხომ ვერ მოიყვანდა თავის თხზულებაში ისეთ ცნებებს, რომელთა შესატყვისი საგანი იმხანად არ რომ არსებულიყო. ყოფითი რეალია - ავეჯი თუ სხვა რამ, ყოველთვის ზუსტად აისახება ნაწარმოებში იმ ეპოქის გათვალისწინებით, რომელსაც ნაწარმოები განეკუთვნება. ამდენად, ივანე ჯავახიშვილი პოლიტიკური ისტორიისა და საერთოდ საისტორიო კონცეფციის გადმოცემას და მეორე მხრივ, კულტურულ-სამეურნეო, ყოფა-

ცხოვრებითი ვითარების ჩვენების ამოცანას ერთმანეთისგან მიჯნავს. მხატვრულ ნაწარმოებს იგი მხოლოდ მეორე შემთხვევაში ანიჭებს საისტორიო წყაროს მნიშვნელობას და ძალზე ფართოდ იყენებს. თუმცა მას არც აქ ავიწყდება ამ ცნობათა კრიტიკული განხილვის აუცილებლობა. მეცნიერი „ვისრამიანისა» თუ „შაჰნამეს» ძველ ქართულ თარგმანთა ცნობებს ყოველთვის ეძებს სპარსულ დედანში და ასეთი შემოწმების შემდეგ ცნობს მათ სანდოობას.

## **8. ივანე ჯავახიშვილი ყოფითი რეალიების წერილობით წყაროებში დაფიქსირების შესახებ**

ივანე ჯავახიშვილი, სამართლიანად მიუთითებს, რომ ისტორიულ ქარტეხილებს სამწუხაროდ ყველა საისტორიო წყარო ვერ გადაურჩებოდა. ამიტომაც მკვლევარი ვალდებულია ყველა მონაცემები მოიშველიოს წარსულის სურათის აღსადგენად. ოღონდ ეს მონაცემები კრიტიკულად უნდა იყოს დადგენილი. ამ მხრივ ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანია მოგზაურთა, დიპლომატთა და მისიონერთა ჩანაწერები. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ასეთი მასალები მაშინაც კი არაა ზედმეტი, როცა საისტორიო ძეგლთა სიუხვეა, რადგანაც “ყოველი ქვეყნის ადგილობრივი დამკვირვებელი, ვინც არ უნდა იყოს იგი, ისტორიკოსი თუ გეოგრაფი, თავის ნაშრომში თავის ქვეყნისა და ერის ყოველდღიური, ჩვეულებრივი ყოფა-ცხოვრებისა და თავგადასავლის აღწერას არ შეუდგება, რადგან ყველა ეს მისმა თანამედროვეებმა და მახლობელმა თაობამ, რომელთათვის უპირატესად იწერებოდა ხოლმე ასეთი ძეგლები, თვითონაც კარგად იცოდნენ და მათთვის სრულიად საინტერესო არ იყო. ისტორიკოსი დაგეოგრაფი პირიქით ცდილობს თავისდროინდელ ყოფა-ცხოვრებასა და შენამთხვევის არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული ამბები ასწეროს. ამის წყალობით მერმინდელი თაობის მკითხველნი და მკვლევარნი ხშირად ასეთ მდგომარეობაში არიან ხოლმე, რომ ქვეყნის ყოველდღიური ყოფა-ცხოვრებისა და წეს-წყობილების ჩვეულებრივი ვითარების შესახებ წყაროებში ძალიან ცოტა (ხაზგასმა ყველგან ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილს, დ.ს.), ან ზოგჯერ არავითარი ცნობა არ მოეპოვებათ ხოლმე. ამის გამო წარსულის სრული ისტორიული სურათის აღდგენა შეუძლებელი ხდება” [21,138-139]

სწორედ ამიტომ არის საჭირო ამ ხარვეზის შევსება სხვა წყაროებით და ამ მხრივ პირველ რიგში ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება უცხოელ მოგზაურთა ცნობებს, რომლებიც მონაწილე და თვითმხილველნი არიან იმ ამბებებისა, რომლებსაც აღწერენ. უცხოელთა “თვალი და ყური ისეთ რამეებსაც ადვილად ამჩნევს, რასაც ადგილობრივი დამკვირვებელი, ვითარცა ყველასათვის კარგად ცნობილს, არავითარ ყურადღებას არ მიაქცევდა. ამის წყალობით უცხო დამკვირვებელის აღწერილობაში ამა თუ იმ ქვეყნის ყოფა-ცხოვრება გაცილებით უფრო მეტი სისრულითაა აღბეჭდილი, ვიდრე რომელსამე ადგილობრივ წყაროშია ხოლმე.” (ხაზგასმა ყველგან ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილს დ.ს.) [21,139]

ეს გარემოება უცხოელთა ჩანაწერებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც ხშირად მათში “თავმოყრილია ყველაზე უფრო საყურადღებო და ამ ქვეყნის თვისებათა და ვითარების, ხალხის ზნე-ჩვეულებათა და კულტურის, საუკეთესოდ დამახასიათებელი და თავისებურების გამოძღვავენებელი ფაქტები. ამიტომ ცხადია, რომ უცხო მოგზაურთა და დამკვირვებელთა ცნობები ისტორიკოსისათვის ძვირფასი,

ყოველთვის შემავსებელი, ზოგჯერ კი ამა თი იმ საკითხის შემსწავლელად და გასაშუქებლად, ერთად-ერთი წყარო არის ხოლმე” (ხაზგასმა ყველგან ეკუთვნის ივანე ჯავახიშვილს, დ.ს.) [21,139]

ივანე ჯავახიშვილი კვლევისას ზემიწევნით ფრთხილია ხოლმე და ცდილობს არცერთი ნიუანსი ყირადღების გარეშე არ დარჩეს. ეს მისი ერთერთი მეთოდოლოგიური მიდგომაა. ამ შემთხვევაშიც, როცა უცხოელ მოგზაურთა შრომებს ასე მაღალ შეფასებას აძლევს, არ ავიწყდება გარკვეულ ტენდენციებზე ყურადღების გამახვილების საჭიროება, რომ შეიძლება ავტორს ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებისას მრავალი სუბიექტური მოტივი ობიექტურობის გრძნობას უჩრდილავს, ზოგჯერ კი თავად ობიექტური გარემოებაც ვერ აძლევს საშუალებას ამომწურავად ჩაწვდეს მოვლენის არსს. ივანე ჯავახიშვილის აზრით ასეთი ერთ-ერთი გარემოებაა უცხოელ მოგზაურთა მიერ აღწერილი ხალხთა ენის უცოდინარობა. “იშვიათი შემთხვევაა, რომ უცხოელმა დამკვირვებელმა, მოგზაურმა, თუ ელჩმა იმ ქვეყნის ენა იცოდეს, რომლის აღწერილობაც მას დაწერილი აქვს ხოლმე. ამის გამო ჩვეულებრივ ის მთლად თარჯიმნის ხელშია (ხაზგასმა ივანე ჯავახიშვილისა დ.ს.), რომლის ცოდნასა, განათლებასა, გონება-გახსნილობასა და სვინდისიერებაზეა ხოლმე მისი ცნობების სისწორეც დამოკიდებული. ენის უცოდინარობის გამო არა ერთხელ უცხო დამკვირვებელი სცდება და ზოგჯერ უბრალო რამესაც-კი სწორად ვერ იგებს ხოლმე” [21,139]

ადვილი წარმოსადგენია, ამ ვითარებას, როცა თან დაერთვის ავტორის წინასწარ შემუშავებული თვალსაზრისი, რომელ ქვეყანაშიც მიემგზავრება იმ ხალხზე და მით უმეტეს მოგზაურობისას გადატანილი უამრავი დაბრკოლება და სიძნელე, როგორი ტენდენციური იქნება მისი მსჯელობა. სწორედ ამ გარემოებას განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ივანე ჯავახიშვილი: “ზშირად, დამკვირვებლის პირადი სარწმუნოებრივი, ეროვნული თუ სოციალური რწმენა და წინაგანწყობილება უცხო ერის ყოფა-ცხოვრების პირუთვნელად შეფასების საშუალებას არ აძლევს (ხაზგასმა ივანე ჯავახიშვილისა დ.ს.) და მის მსჯელობაც ზოგჯერ სრულებით მცდარია ხოლმე”. [21,139]

ქართული ყოფითი კულტურის კვლევისას ივანე ჯავახიშვილის ამ მეთოდურ შენიშვნებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგან ქართული ყოფა-ცხოვრების წესების შესახებ არსებული ცნობების უმეტესი ნაწილი სწორედ უცხოელი ავტორების მიერაა ჩაწერილი (შარდენი, ლამბერტი, ძამპი, რუსი ელჩები და მრავალი სხვა). ამ მასალების ზემოთხსენებული კრიტიკული განხილვით ჩვენს წინაშე სათანადო ინფორმაცია მოიყრის თავს. “ყველა ამ გარემოებათა გათვალისწინებისა და ცნობათა კრიტიკული თვალსაზრისით შეფასების შემდგომ უცხოელ მოგზაურთა და ელჩების ცნობებს კულტურისა და სოციალ-ეკონომიკური ისტორიის აღსადგენად, ფრიად დიდი დახმარების გაწევა შეუძლათ» - ასკვნის სახელოვანი მეცნიერი. [21, 139].

## 9. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მუშაობის მეთოდები

ივანე ჯავახიშვილის საისტორიო წყაროს დამუშავებისა და სამეცნიერო ნაშრომის წერის თავისებური მეთოდი ჰქონდა შემუშავებული, რომლის გამოყენებით მას უადვილდებოდა დამუშავებული ლიტერატურიდან საჭირო ცნობის დროის

დაუკარგავად და სწრაფად მოძებნა. ეს იყო თავისებური კარტოთეკა, რომელიც უამრავი, აურაცხელი რაოდენობის პატარა ფურცლებისაგან შედგებოდა. სახელოვანი მეცნიერი კვლევისას თავის ამ მეთოდს ყველას უზიარებდა. 1932 წელს აბასთუმანში მყოფ ლ. მუსხელიშვილს წერდა: «ბრინჯაოს ცულების შესახებ გამოკვლევას საბოლოოდ დამთავრება მანდ, ოძრეხში, რათქმა უნდა შეუძლებელია, მაგრამ ყველაფერის დაწერა, რაც მანდ მოხერხდება, უნდა შექველად ეცადოთ . . . უნდა ცალ-ცალკე პატარა ზომის ფურცლებზე სწეროთ, ისე, რომ თუ რისამე შემდგომში ჩამატება, ან წინად დაწერილის გამოცვლა დაგჭირდათ, ძნელი არ იყოს» [18, 179]. ამის შესახებ მკვლევარი ს. ჯორბენაძე შენიშნავდა: «პატარ-პატარა ფურცელ-ფირფიტაზე ამოწერილი შემდგომ მას მრავალგზის შეელოდა და ერთი და იგივე ძეგლისადმი მუდმივ დაბრუნებისაგან ათავისუფლებდა». [41, 460].

მაგრამ ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ივანე ჯავახიშვილი რომელიმე საისტორიო წყაროს მხოლოდ ერთხელ კითხულობდა. პირიქით, იგი რამდენჯერმე მიუბრუნდებოდა ამა თუ იმ დოკუმენტს და ახალი თვალთ წაიკითხავდა ხოლმე. იგი თითოეულ მისთვის საყურადღებო ცნობას, წინადადებას გახაზავდა, გვერდით არშიაზე (მინდორზე) შენიშვნებს მიაწერდა. ამ მხრივ თუ მის მიერ გამოყენებული მელნის ფერით ვიმსჯელებთ, ზოგიერთი ძეგლი მას 3-ჯერ, 4-ჯერ და მეტჯერაც აქვს წაკითხული ამდაგვარი მეთოდით. მუშაობისა და წერის ამ საინტერესო მეთოდის შესახებ სახელოვან მეცნიერს ვრცლად უსაუბრია კიდევაც ერთ-ერთ სემინარზე თავის მოწაფეებთან, რომელიც პროფ. კ. გრიგოლიას ასე აქვს გადმოცემული? «მე რომ საქართველოს ისტორიის რომელიმე წერილობითი წყაროს, თხზულებას, ავიღებ ხელში, - მოუთხოვრებათ თურმე ივანე ჯავახიშვილი, - მის ყოველმხრივ შესწავლას შევუდგები ხოლმე - ე.ი. ვცდილობ ამოკრიფო იქიდან ყველაფერი, ყოველგვარი ცნობა, რომელსაც კი საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ასპექტისათვის საგულისხმოდ დავინახავ. ამ მიზნით, მე უპირველესად ყოვლისა ვიწყებ თვითონ თხზულების კითხვას, ვკითხულობ მას ძალიან გულდასმით, ვაკვირდები მის ყოველ სიტყვას, ვცდილობ სწორად გავიგო მისი ყოველი წინადადება და როდესაც ამ მხრივ ძეგლზე ენობრივ მუშაობას დავამთავრებ, ვიწყებ მისი ცნობების ამოწერას ცალ-ცალკე ფირფიტებზე. ვიწერ, როგორც ითქვა ყველაფერს, რასაც კი ქართველი ხალხის პოლიტიკური ცხოვრების, საზოგადოებრივი წყობილების, ეკონომიური ვითარების, კულტურული ისტორიის, ყოფის თავისებურებების თუ საქართველოს ისტორიის სხვა რომელიმე საკითხის შესასწავლად და გასაშუქებლად მნიშვნელობის მქონედ დავინახავ. ამის შემდეგ მე გადავდივარ სხვა თხზულებაზე და იმასაც ამ წესით ვამუშავებ. საერთოდ, შეიძლება ითქვას, საქართველოს ისტორიის ყველა წყარო მე სწორედ ასე მაქვს დამუშავებული. მე ისინი ფირფიტებზე მაქვს გადატანილი, ხოლო წყაროების მითითებათა ცალ-ცალკე ფირფიტაზე არსებობა, ისტორიკოსს, როგორც ცნობილია, საშუალებას აძლევს ნებისმიერი თემის კვალობაზე მოახდლოს მათი დაჯგუფება და სწრაფად შეუდგეს დამუშავებას». [6, 178]. გარდა იმისა, რომ ამ მეთოდით წყაროდან ამოკრებილი მასალის კლასიფიკაცია შეიძლება თემატურად, ქრონოლოგიურად, არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც საკვლევი თემის გააზრებასა და დაწერის პროცესს მეტად მოხერხებულს ხდის, აი, როგორ ახასიათებს ივანე ჯავახიშვილი ნაშრომის წერის თავის მეთოდს: «ნაშრომებსაც მე, თავდაპირველად, ფირფიტებზე ვწერ . . . ყოველ საკითხს, რაც გინდ

მცირე არ უნდა იყოს, მე ცალკე ფირფიტაზე ვათავსებ. ისე, რომ დაწერილობის მხრივ ჩემი ფირფიტები არ არიან ერთი-მეორეზე გადაბმულნი, რადგან სიტყვათა თუ წინადადებების გადატანას ერთიდან მეორეზე ადგილი არა აქვს. პირიქით, ყოველ ფირფიტას თავსა და ბოლოს სუფთად, დაუწერლად ვუტოვებ: რომ მე მქონდეს საშუალება ნებისმიერი გადაკეთებისა. ყველაფერი ეს საშუალებას მაძლევს მომდევნო შევასწორო, შევავსო, რომელიმე ფირფიტაზე დაწერილი ტექსტი, არამედ შევცვალო ის მთლიანად ისე, რომ სრულიად არ შევეხო სხვებს (სხვა ფირფიტებს), ხოლო როდესაც ნაშრომის წერას მოვამთავრებ, ბუნებრივია, მე მას გულდასმით ჩავიკითხავ თავიდან ბოლომდე, მაგრამ არასოდეს არ ვცდილობ მის მაშინათვე დაბეჭდვა-გამოქვეყნებას. მე მას გადავდებ ცალკე და ერთი - ორი წლის განმავლობაში სრულიად არ მივეკარები. დროის მხოლოდ ამ მონაკვეთის შემდეგ ვუბრუნდები იმ ნაშრომს და კიდევ ვკითხულობ მას, მაგრამ ახლა წავიკითხავ კრიტიკულად და თუ მან ამ შემთხვევაში ჩემ კრიტიკას გაუძლო, მხოლოდ მაშინ გადაწყდება მისი გამოქვეყნების ბედი». [6, 178]. დღეს კომპიუტერის მასობრივად გავრცელების ხანაში ივანე ჯავახიშვილის ამ უაღრესად საინტერესო გამოცდილებაში ბევრი რამ პრაქტიკულ მნიშვნელობას შეიძლება მოკლებული იყოს, მაგრამ წყაროდან რომ მაქსიმალურადაა საჭირო ინფორმაციის ამოღება, წერისას უნდა ვეცადოთ დროის დაზოგვით ვიმუშაოთ და ნაშრომის გასრულების შემდეგაც, სანამ არ დავრწმუნდებით მისი ღირებულებების სისწორეში, გამოქვეყნება არ ვიჩქაროთ, დღესაც ძალაშია.

## 10. ივანე ჯავახიშვილის ქართული

ივანე ჯავახიშვილის წერილობით აზროვნებას ეტყობა ძველი ქართული ენის მწიგნობრული გავლენა, რაც ერთი შეხედვით მძიმედ მოგეჩვენებათ, მაგრამ სინამდვილეში მხოლოდ ძარღვიანია და სხვადასხვა რთული საკითხების დამაჯერებელ განმრტებას ემსახურება. ამავე დროს სახელოვანი ისტორიკოსისათვის უცხო არ არის მხატვრული აზროვნებაც, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

1. ივანე ჯავახიშვილი საუბრობს ძველი ხალხების რწმენა-წარმოდგენების შესახებ, რომ მათ წერილობით წყაროებს ბევრი ვერავითარი ცნობები შემოუნახავთ. „თვით უძველესი კულტურული დამწერლობიანი ერების ძეგლებში მსოფლმხედველობისა და რწმენის შესასწავლად მაინც და მაინც ბევრი ცნობები არ მოგვეპოვება. უმთავრესად ღვთაებათა სახელები გვხვდება ხოლმე ჩამოთვლილი . . . (და) ხშირად მხოლოდ ღვთაებათა სახელების სიას წარმოადგენს, რომელიც გონებასაც ბევრს ვერაფერს ამცნებს, გულსა და სულს ხომ არაფერს აგრძნობინებს ხოლმე» (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) [25, 166-167].

2. დიდი მეცნიერი მიმოიხილავს ნ. მარის მეთოდოლოგიურ ნაკლოვანებებს და შემდეგ აღნიშნავს: „გონებამახვილობა და ენამახვილობა დაუშრეტელი წყაროს მსგავსად სჩქეფს ყოველ მის ნაწერში და ამიტომაც, არის რომ ის „განწირული სულისკვეთება» რომლითაც გამსჭვალულია პროფ. და აკად. ნ. მარის უამრავი ნაწერი, უეჭველია, ცუდად არ ჩაივლის და მომავალი მკვლევარი იმ ნაშრომებშიაც, სადაც ძირითადი დებულება დამაჯერებელი არ არის, არაერთს „პატიოსან თვალს აღმოაჩენს» [24, 76].

ასეთი ადგილების ამოწერა კიდევ შეიძლებოდა მისი შრომებიდან, მაგრამ ვგონებ უმჯობესია სიტყვა მივცეთ ცნობილ არქეოლოგს გ. ლომთათიძეს: მცხეთის არქეოლოგიური გათხრები ახალ ენერჯიას მატებდა მხცოვან მეცნიერს. „ბრინჯაოს ხანის

ერთ-ერთ სამარეს ივ. ჯავახიშვილი „პატარა მწყემსის საფლავს“ უწოდებს (შიგ მოზარდის ჩონჩხი და შუბის პირი, ხარის თავ-რქა და ძვლის სალამურია აღმოჩენილი). საქმიან ანგარიშში ასეთი „ლირიზმის ჩაწინწკვლა დამახასიათებელია ივ. ჯავახიშვილისათვის, რომელიც კიდევ უფრო მშრალსა და რთულ გამოკვლევებსაც კი ახალისებს ხოლმე ამგვარი ფერადებით» [12, 29].

დღევანდელ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულია საისტორიო თხზულების მკაცრი, აკადემიური, მშრალი სტილი და ხშირად შეუძლებელია ერთმანეთისგან ტექსტის ენის მიხედვით გავარჩიოთ სხვადასხვა ავტორთა შრომები. ამგვარი გარჩევა თვითმიზანი არ არის, მაგრამ ერთგვაროვანება მოსაწყენ ერთფეროვნებას ქმნის. როგორც სიტყვაკაზმულ მწერლობაში, ისე საისტორიო მწერლობაშიც წერისას ენობრივი სტილი მეორეხარისხოვანი სრულებითაც არ არის. ქართულ ისტორიოგრაფიაში, საბედნიეროდ, ამ თვალსაზრისით, შეიძლება ვისაუბროთ ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი ჩიტაიას სტილზე, რომ არაფერი ვთქვათ ძველ ქართველ ისტორიკოსებზე. ამ მხრივ საკუთარი უმწეობით ეს ღირსება კი არ უნდა დავაკნინოთ, არამედ პირიქით, ვისწრაფოთ მისკენ.

## 11. ივანე ჯავახიშვილის პიროვნება

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომში “ძველი ქართლი საისტორიო მწერლობა” ხაზგასმით აღნიშნავს: თვითეული ძველი საისტორიო თხზულებების განხილვის დროს მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა - კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნება და მედასეობა. (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) მისი წყაროების თვისება, ჟამთააღმწერლის წერის წესი და მეთოდები” ცოტა ქვემოთ “მედასეობის” - სოციალური წრისადმი მიკუთვნებულობის საკითხს საგანგებოდაც გახაზავს და აღნიშნავს: “თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ აღმწერლის თვალსაზრისით, წოდება და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავისს ძლერს დაღს ასვამს ხოლმე და ნება-უნებლიედ მიუდგომლობაზე მოქმედებს”. [23, 26]

აქ შეიძლება დაისვას კითხვა: ივანე ჯავახიშვილი თავად რომელ “დასს” ეკუთვნოდა? რომელი დასის ინტერესებს ემსახურებოდა თავისი შრომებით მისი ნაშრომებისა და მოღვაწეობის ერთიანობაში განხილვით ნათელია, რომ ივანე ჯავახიშვილი მთლიანად ქართველი ერის ინტერესების გამომხატველი იყო და არა რომელიმე სოციალური ჯგუფის, კლასის, ფენის.

დიდ მეცნიერს თუ თავისი ერის აღორძინების შემაფერხებელი რამ ეგულება, იგი უკომპრომისოა. ისეთ დიდ პიროვნებებს, როგორებიც იყვნენ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო მარი, რომელთა დიდ ღვაწლს ყოველთვის აფასებდა და პატივს სცემდა, არ მორიდებია საკუთარი აზრი მწვავე ფორმითაც მოეხსენებინა თვითეულისათვის, პირველს შელამაზებული ისტორიის წერის მოთხოვნაში დებდა ბრალს, მეორეს კი თბილისის უნივერსიტეტის დაარსების საქმეში ხელის შეშლას ვერ პარიობდა. თუმცა ვიმეორებ, თითეულ მათგანს სიცოცხლეშიაც და სიკვდილის მერეც დიდი პატივისცემით მოიხსენებდა და არ უკარგადა დამსახურებას.

ივანე ჯავახიშვილს ვერავინ დასწამებს შოვინისტობას. იგი არც ერთი ერის მიმართ არ არის უარყოფითად გამსჭვალული, მაგრამ იგი უპირველეს ყოვლისა ქართველია და ქართველი ერის აღორძინებაზე ზრუნავს. მას მეტად მწვავედ მოხვდა გულზე ნ. მარის

1923წ. გამოცემული ნაშრომი “რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება”. ამ პუბლიკაციაში ნ. მარი წუხდა პეტერბურგში აღზრდილი და იქიდან თბილისში “გაფრენილი შევარდნებთან” დაცილებას და აღნიშნავდა: “მწამს აგრეთვე ქართველთ თბილისის უნივერსიტეტის ბრწყინვალე მომავალი ჩვენ საინტერესო დარგში, თუ მეცნიერების მსოფლიობას (ხაზგასმა ჩემია, დ.ს. ე.ი. ინტერნაციონალობასო) შეიგნებს რა, განახორციელებს თავის მდიდარ შესაძლებლობას, მთელი ერთობილათ მთელი, კავკასიის უნივერსიტეტი გახდეს.” [24, 77] ივანე ჯავახიშვილი უკომენტაროდ არ ტოვებსამ მოსაზრებას და არავითარ შანსს არ უშვებს თბილისის უნივერსიტეტის სახის შეცვლისათვის - ის ქართული უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო მუდამ: “ტფილისის უნივერსიტეტის, რომლის ბრწყინვალე მომავალიც აკად. ნ. მარს სწამდა “მეცნიერების მსოფლიობის” სრული შეგნებისდა მიუხედავად, არავითარი არც პრეტენზიები და არც წადილი არა ჰქონია, “ერთობილათ მთელი კავკასიის უნივერსიტეტათ” იქცეს” [24, 78] მაგრამ ივანე ჯავახიშვილი თბილისის უნივერსიტეტში ფართოდ უღებს კარს ყველა ერის შვილებს მეცნიერებისა და კულტურის დაუფლებისათვის. იგი იქვე აღნიშნავდა: “დაარსების პირველ დღითგანვე, თავის მიზნად და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის გარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, მეცნიერული შესწავლა ჰქონდა დასახული”. [24, 78] ამ საკითხებს კი არა მარტო ქართველები, არამედ კავკასიის ერების სხვადასხვა ერების შვილთა თბილისის უნივერსიტეტში მეცნიერად ჩამოყალიბებას ვარაუდობდა, რაც სინამდვილეში დღემდე ხორციელდება კიდევაც. ივანე ჯავახიშვილს სწამდა, რაკი “კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძმე ტომთა ენები ყოფილა, ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია ამ ენების და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავის ერისა და ქვეყნის” [ 24, XV]

სოციალური და პოლიტიკური შეხეულებების თვალსაზრისით, მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილი იყო დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს ერთ-ერთი აქტიური მშენებელთაგანი. იგი მონაწილეობდა თითქმის ყველა საკვანძო საკითხის განხილვაში (საზღვრების საკითხი, ეროვნული დროშისა და ღერბის საკითხი, დამფუძნებელი კრების არჩევნები, კონსტიტუცია და ა.შ. [38, 19-26]. საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი უცხოეთში არ წავიდა და ბოლომდე იხდიდა თავის მოქალაქეობრივ ვალს სამშობლოს წინაშე უმძიმესი წნეხის ქვეშ. იგი რა თქმა უნდა არ იზიარებდა მარქსისტულ მსოფლმხედველობას და განსაკუთრებით სსრკ-ში სახელმწიფო დოქტრინად გამოცხადებულ კლასთა ბრძოლის თეორიას. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ მან თავის მთვარ წიგნს “ქართველი ერის სიტორია” უწოდა და არა “ქართველი ხალხის ისტორია”. ცნება “ხალხს” ხომ მრავალგვარი შინაარსი გააჩნია და მათ შორის მასისა, ლიანგისა ცნება “ერი” კი თავის თავში მოიცავს როგორც ლიანგს, ისე არისტოკრატასაც, ბურჟუაზიასაც და ინტელიგენციასაც, ივანე ჯავახიშვილის მიხედვით ქართველი ერი შორეული წარსულიდან მომავალი ისტორიული ერთობაა და რა თქმა უნდა არ იზიარებდა ი. სტალინისეულ თეორიას ერის კაპიტალიზმის ხანაში წარმოშობისა [15, III]

როცა XX საუკუნის 30-იან წლებში ივანე ჯავახიშვილს ავიწროებდნენ, აკრიტიკებდნენ და უკიჟინებდნენ, რომ მარქსისტი არა ხარო, გაკვირვებულმეცნიერი ლენინგრადში მყოფ ვ. დონდუას სწერდა: «ვ. ორაგველიძე, თბილისის უნივერსიტეტის

მაშინდელი რექტორი “ყველა ჩემი ნაშრომის უვარგისობის დამტკიცებას ლამობდა იმის გამო, რომ მარქსისტული არ არის, რაც არავისთვის ახალ აღმოჩენას არ წარმოადგენს”. [32, 40] ამ სტრიქონების წაკითხვა საბჭოური კლიშეებით მოაზროვნეს უმაღლეს გაუჩინეს კითხვას - მაშ ვინ იყო ივანე ჯავახიშვილი და ცალსახა პასუხს დაელოდება - რეაქციონერი, ნაციონალისტი (მოვინიზმის შინაარსით), პროგრესისტი, თუ ბურჟუაზიის დამქაში და ა.შ. ამდაგვარი იარლიყებით პიროვნების მსოფლმხედველობის გაგება და მით უმეტეს შეფასება შეუძლებელია. აბა რა უნდა გვითხრას იარლიყმა “ბურჟუაზიის დამქაში” ან «ანტიმარქსისტი» და ა.შ. რომლებიც მხოლოდ ინკვიზიციის ტერმინოლოგიას ეხმიანება და თავისი დანიშნულებითაც ემსგავსება: “ანტიქრისტე”, მწვალბეელი” “ერეტიკოსი” . ასეთ ვითარებაში ხომ არავის აინტერესებს პიროვნებისეული პოზიციის არსი, თუ რას ამბობს და რატომ ამბობს, რას ეფუძნება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილისათვის არ არსებობდა სამოქალაქო ყოფა-ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა ერთმანეთისაგან განცალკევებულად. მისთვის ეს ერთ მთელს წარმოადგენდა და ორივეგან ერთი და იგივე პრინციპებით მოქმედებდა. ეს ნათლად ჩანს ივანე ჯავახიშვილის ერთი პირად წერილიდან, სადაც ვკითხულობთ: “სამეცნიერო მუშაობისათვის, ნიჭის გარდა, ცოდნის მოყვარულობის დაუშრეტელი სიყვარული, კვლევა-ძიების წყურვილით თავდავიწყებამდე გატაცება და შეუდრეკელი ნების ყოფაა საჭირო. უსიყვარულოდ და უნებისყოფოდ, თავგანწირულებისათვის მზაობის გარეშე, არც ერთი დიდი საქმის გაკეთება არ შეიძლება, მით უმეტეს მეცნიერებში, რადგან მეცნიერის ზნეობრივი პასუხისმგებლობა დიდია და ნივთიერი კეთილდღეობის თვალსაზრისით მძიმე, ამიტომაც მას ყველა ამ სიძნელეთა დასაძლევად ხასიათის განსკუთრებული სიმტკიცე ესაჭიროება:» (ხაზგასმა ჩემია, დ.ს.) [8,114-115] ეს სიტყვები, ერთი მხრივ არის მეცნიერისა და მოქალაქის სანიშნოში სახის განსაზღვრა და, მეორე მხრივ თავად ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ზუსტი დახასიათება. სწორედ ამ ღირსებებით გამოირჩეოდა სახელოვანი მეცნიერი. მას სამეცნიერო მუშაობისათვის ნიჭიც გააჩნდა, ცნობისმოყვარეობის დაუშრეტელი სიყვარულიც, კვლევა-ძიებისადმი თავდავიწყებული გატაცებაც, ნებისყოფაც, თავგანწირვისათვის მზაობაც, ზნეობრივი პასუხისმგებლობაც, ხასიათის სიმტკიცეც და მატერიალურ კეთილდღეობისადმი დაუხარბებლობაც. იგი თავისი ცხოვრების მიწურულს მტკიცე რწმენით აცხადებდა: «როდესაც ამბობენ, რომ ხელშემწყობი გარემოება არ არის და ვერ ვმუშაობო, უნდა მოგახსენოთ, არა მჯეროდა და არც ახლა მჯერა, ვისაც საქმე უყვარს, ვისაც სურს მუშაობა, ავადმყოფობის დროსაც იმუშავეს. მე მინახავს ადამიანი, რომელიც მწოლიარე ავადმყოფი იყო და კალამი არ გაუგდია ხელიდან უკანასკნელ წუთამდე.<sup>4</sup> უკანასკნელ წუთამდე არც მას გაუგდია კალამი და მისი საყვარელი საქმის - ლექციის კითხვისას დატოვა სასქაო და გადავიდა მარადისობაში.

---

<sup>4</sup> ივანე ჯავახიშვილის შრომისმოყვარეობაზე ლაპარაკობს შემდეგი ფაქტიც. მის კაბინეტში დაცულ მის პირად წიგნებში ბევრია ნაჩუქარი ეგზემპლარები, სათანადო მიძღვნითა და თარიღით. მათი უმრავლესობა ძირითადად ხელუხლებელია. ეტყობა სახელოვანი მეცნიერი მისთვის საინტერესო წიგნს გამოსვლისთანავე იძენდა და დაუყოვნებლივ კითხულობდა, ამუშავებდა. ოდნავ რომ დაეყოვნებინა, მაშინ ნაჩუქარი ექზემპლარი ექნებოდა მარტო და დამუშავების კვალსაც იგი აღიბეჭდავდა.

ივანე ჯავახიშვილს პასუხისმგებლობის გრძნობა უკიდურესობამდე ჰქონდა გამახვილებული. ამის შესახებ იგი წერდა: “სამეცნიერო მუშაობა ბედნიერებაა, ეს ისეთი ბედნიერებაა, რომელიც ყველას ხვედრს არ წარმოადგენს და, ვინც ისეთი ბედნიერია, რომ ბუნებისაგან დაჯილდოებული ნიჭით, რომ მას აქვს ნებისყოფა, აქვს აგრეთვე გატაცება, ის უნდა გრძნობდეს, რომ ვალდებულია სამაგიერო გადაუხადოს იმ ერს, რომლისგანაც ის წარმოშობილა” [31,71]

თუ როგორი ზნეობრივი პრინციპების მქონე იყო ივანე ჯავახიშვილი, ჩანს შემდეგი ფაქტიდანაც: 1915 წ. 15 აპრილს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარემ გ. ყაზბეგმა წერილობით მიმართა ივ. ჯავახიშვილს, რომ იგი დათანხმებულიყო, რომ მისი “ქართველი ერის ისტორიის” I და II წიგნები საპრემიოდ წარდგენილ თხზულებათა სიაში შეეტანათ. დიდმა მეცნიერმა ამ წინადადებას თავაზიანი უარით უპასუხა” პრემიები ყველგან და ჩვენშიაც, რასაკვირველია, იმიტომ არის დაწესებული, - წერდა ივ. ჯავახიშვილი, - რომ ახალგაზრდა მკვლევარნი წახალისონ, ან ქონებრივი დახმარება გაუწიონ შრომის დასაბეჭდად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. მე, ჩემდა საბედნიეროდ, ისედაც შეძლებისდაგვარად ვმუშაობ და არც რაიმე წახალისებაა ჩემთვის საჭირო და არც ქონებრივი დახმარება: უნივერსიტეტის დოცენტობა მე თუმცა დიდს არა, მაგრამ მაინც სახსარს მამლევს. ამისთანა პირობებში ზნეობრივად შეუძლებლად მიმაჩნია სხვებს, რომელთაც წახალისებაც და დახმარებაც სჭირდებათ, შევეცილო. მე კარგად ვიცი, რომ საზღვარგარეთ და რუსეთშიც . . . ბევრს ჩემზე უფრო მეტად დამსახურებულსა და ჩემზე უფრო ქონებრივად უზრუნველყოფილს მეცნიერებს წარუდგენიათ ხოლმე საპრემიოდ თავიანთი თხზულებები, მაგრამ მე ყოველთვის ასე ვფიქრობდი და ეხლაც მგონია, რომ აქ საქებური არაფერია და მათს მაგალითს მე ვერ წავბაძავ. აი ის მოსაზრებანი, რომელიც მაიძულებს ჩემი უკანასკნელი თხზულება საპრემიოდ არ წარვადგინო”<sup>5</sup> [41,132]

ივანე ჯავახიშვილმა გულუხვად იცოდა დამსახურებული მოღვაწის დაფასებაც და საჭიროებისამებრ შეცდომათა პატიებაც. ამის შესახებ მრავალი საინტერესო ფაქტია მოყვანილი ს. ჯორბენაძის წიგნში [41] ასევე გულუხვი იყო იგი ახალგაზრდა თაობის მიმართაც და განსაკუთრებით მოწაფებისადმი. [41,183]

ივანე ჯავახიშვილი უმწიკვლო პიროვნება იყო. იგი მოღვაწისაგან უანგარო სამსახურს მოითხოვდა. ერთ მეტად საინტერესო ამბავს გვიამბობს სახელოვანი მენიერის მიერ საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ შ. ხიდაშელი: “ერთ დღეს, ბატონმა ივანემ გამოაცხადა, რომ საჯარო ლექციის წაკითხვას აპირებდა. ლექციის სათაური იყო “რაინდობა და ვერაგობა ძველ საქართველოში”. ყველა ჩვენთაგანი გაურკვეველი მოლოდინისა და მოუთმენლობის განცდამ შეიპყრო. ვგრძნობდით, რომ ლექცია რაღაც საგანგებო გარემოებით უნდა ყოფილიყო გამიზნული, რომელიც მხოლოდ ლექციის შემდეგ გაირკვა. ამ დროს გამოქვეყნდა XVI ს-ის ქართველი მოღვაწის დავითის (შემდეგ დაუდ-ხანად წოდებულის), სამედიცინო ძეგლი «იადიგარ დაუდი”. გამომცემელს, ექიმ ლადო კოტეტიშვილს, ძეგლი აინტერესებდა ძველი ქართული

---

<sup>5</sup>როგორც ს. ჯორბენაძე მიუთითებს, ეს უკვე მეორე შემთხვევა იყო, როცა ივანე ჯავახიშვილმა უარი თქვა პრემიაზე. პირველად ეს გააკეთა 1909წ. როცა უარი განაცხადა გ. დადიანის სახელობის პრემიის მიღებაზე. [41,32]

მეცნიერებისა და სამედიცინო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით და მისი მნიშვნელობაც ამით იყო განსაზღვრული. მაგრამ მკითხველთა ფართო საზოგადოებაში დავითი პოპულარული პიროვნება გახდა . . . [მეცნიერმა] ნათლად, მკაფიოდ დახატა რენეგატობის ისტორიული სურათი საქართველოში, დაახასიათა მისი უარყოფითი მნიშვნელობა, დეტალურად წარმოადგინა დაუდ-ხანის პოლიტიკური საქმიანობა და ლექცია შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: - «განა, ერის წინაშე დამსახურება იმას ნიშნავს, რომ ორი წიგნი წაიკითხო და მესამე დასწერო?»[17,117-118]

ივანე ჯავახიშვილი, როგორც ამას მის შესახებ არსებული მასალები და თანამედროვეთა მოგონებები ერთხმად დადასტოებენ, არისტოკრატი იყო არა იმიტომ, რომ თავადური წარმომავლობისა გახლდათ, არამედ თავისი მაღალზნობრივი და მოქალაქეობრივი თვითშეგნებისა და მოღვაწეობის გამო. ყოველივე ეს ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში აშკარად ჩანდა. იგი აგრეთვე გამოირჩეოდა დახვეწილი გარეგნობითა და კეთილშობილური მანერებით. იგი მის მიერ დაარსებულ უნივერსიტეტში ყოველთვის ქუდმოხდილი შედიოდა, როგორც წმინდათაწმინდა ტაძარში. იგი ყოველთვის აკურატულად ჩაცმული და მოწესრიგებული ყოფილა გარეთაც და შინაც და ისე უხვდებოდა ნებისმიერ მოულოდნელ სტუმარს. ასე უჯდა თურმე იგი საწერ მაგიდასაც.

სახელოვანი მეცნიერის მოწესრიგებულობა და აკურატულობა განსაკუთრებით საგულისხმოა სამეცნიერო კვლევა-ძიების თვალსაზრისით, მისეული მეთოდი რომ განაპირობებდა. უპირველეს ყოვლისა საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი გამორჩეული ხელწერა, რომლის ერთი ნახვაც კისაკმარისია, რომ მუდამ დაგამახსოვრდეს და სხვა ავტორთა ნაწერებში არასოდეს აგერიოს. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც დაცულია მისი პირადი არქივი, 40 000-ზე მეტი საფონდო ერთეულია დაცული, რომელიც ასეულ ათასობით ფურცლისაგან შედგება. მაგრამ უმნიშვნელო ნაწილის გარდა, ყველაფერი ივანე ჯავახიშვილის ხელითა დაწერილი.

ფრიად საინტერესოა ამავე ინსტიტუტში ივანე ჯავახიშვილის სახ. კაბინეტში დაცული დიდი მეცნიერის პირადი წიგნების მინაწერები. ისინი ეხებიან არა მარტო მის სამეცნიერო ინტერესის უშუალო ობიექტებს, არამედ ხშირად დიდი მეცნიერის შინაგან სამყაროს, ემოციურ და ზნეობრივ ასპექტებს წარმოგვიდგენს. ასე მაგ. გ. თედორაძის წიგნის “ზუთი წელი ფშავ-ხევსურეთში” შემდეგი ადგილები იპყრობს ყურადღებას: მე-18 გვერდზე გ. თედორეაძე აღწერს ფშავლების ლხინს: “უკვე 12 საათი იქნებოდა, რომ ხალხი მინდორზე გაშლილ სუფრას მიუსხდა და მთვრალეებმა დაუწყეს ერთმანეთს პირში არყის ჩასხმა”. ივანე ჯავახიშვილს გვედზე მიუწერია: “საზიზღარია”, ხოლო 175-ე გვერდზე გ. თედორეაძე შემდეგს გვიყვება: “ზაფხულის წყნარი დღეებია . . . მოწყენილობა იყო უცნაური. ნამგლით ხელში ჩავერიე მუშა ხალხში და გაცხარებულად ვმკი. ერთ გლეხს კიდევაც დავეჯიბრე მკაში”. ამ ადგილს სახელოვანი ისტორიკოსის მინაწერი ამშვენებს: “ყოჩად!” [9, კაბინეტის №126].<sup>6</sup>

ივანე ჯავახიშვილი - ასეთი დიდი პიროვნება უაღრესად თავმდაბალი გახლდათ. 1938 წ. როცა მას ირჩევენ საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მან

---

<sup>6</sup> კაბინეტის ნომერს იმიტომ ვუთითებ ქვემოთაც, რადგან ზოგჯერ კაბინეტში ერთი და იგივე დასახელების წიგნის რამდენიმე ეგზემპლარი ინახება და მათი მარგინალები (მინაწერები) ერთმანეთისაგან განსხვავდება, ან ზოგიერთს არა აქვს ხოლმე).

წინასაარჩევნო კრებაზე თქვა: “ჩემს თავს, ჩვენს მოღვაწეობას სრულიადაც არ ვაფასებ ისე დიდად, როგორც თქვენ აფასებთ . . . როგორ ვიკადრებ, თქვენ წინაშე საკუთარი თავის შესახებ რაიმე ვთქვა იმაზე მეტი, რაც სხვებს შეუძლათ თქვან. ეს არც საკადრისია და მას არც ქართველი ხალხის ზნეობრივი მოძღვრება მიკარნახებს» [33].

ქართველი ხალხის ზნეობრივი კრედიო ყოველთვის იყო ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის განმსაზღვრელი. იგი თავად იყო ზნეობრივი იდეალის ერთი მხრივ მკვლევარი და მეორე მხრივ, მისი საუკეთესო განმარტებელი-გამომხატველი. წინასაარჩევნო კრებაზე ამის შესახებ ამბობდა სწორედ: «ჩემს მოღვაწეობაში მე ვხელმძრვანელობდი ერთი ხალხური ლექსით, რომელშიაც მშვენივრადაა გამოხატული ქართველი ხალხის ზნეობრივი მოძღვრება იმ აუცილებრივ-აუცილებლობის შესახებ, რომელსაც უნდა ადამიანი აკმაყოფილებდეს:

«კარგი ვარ იმას ნუ იტყვი,  
თავს ნუ დაუწყებ ქებასა,  
კერგი ჩვენს მოგვეწონება,  
ცუდი არც თავის დედასა» [33].

### დასკვნის მაგიერ

ყოველივე ზემოთაღნიშნული შეიძლება შევაჯამოთ მ. ჯანაშვილის შესანიშნავი დახასიათებით: „შემოსილა იგი მეცნიერების კვართით, დამჯდარა რა მეცნიერების კალოზე, არღვევს ზღაპრულს ნამდვილისაგან, სარწმუნოს ურწმუნოსაგან, ღირსსა და უღირსს შორის სდებს მტკიცე საზღვარს და ყოველს ისეთს სულს ჩაუდგამს, რომ თითქოს მკვდარ ამბებთან და უწინარეს ჟამებში ამოწყვეტილ კაცებთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ ცოცხლებთან საუბრობსო პირისპირ, ხელმძღვანელებული მარტო მართლმოყვარეობით, გულდასმით და ფილოსოფიურის სიღინჯით სჩხრეკავს საისტორიო და სამწერლო ძეგლებს, ეძებს საჭირო მასალებს მატრიანებსა და არქივებში, ზეპირსიტყვაობასა და მიწერ-მოწერაში, ხელოვანთ და მგალობელთა ჰანგებსა და კილოებში, უცხოელთა ნაწერებსა და გადმოცემებში. მერე ყველა ამ ვეება შეძენილობას დაალაგებს თავის სამეცნიერო თვალთახედვის მყუდროზე, განმარტავს თითოეულს ცალ-ცალკე, შეაფასებს ყველას ერთად, გაჰკრავს თავის გონების დაუშრეტელ ისარს, ჩასწვდება საძიებელი საგნის სიღრმეს, გააშუქებს ჭეშმარიტი მკვლევარის მეთოდის წესით და ამის შემდეგ დასდებს თავის მსჯავრს» [39. ვუთითებ 41-ის მიხედვით, გვ. 770].

მნელია უკეთესად რამის თქმა.

რამდენჯერაც მივუბრუნდებით და გავისიგრძეგანებთ ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო გამოცდილებას, იმდენჯერ დარწმუნდებით ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში.

### მითითებული ლიტერატურის სია:

1. არჩილი, არჩილიანი, ტ. II. ტფ. 1937
2. ნ. ბერძენიშვილი, სიტყვა აკად. ივ. ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის საჯარო სხდეომაზე 1941 წლის 18 ნოემბერს, ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III. თბ. 1966
3. მ. გეგეშიძე, ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოგრაფია, კრებული მიძღვნილი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი. თბ. 1977
4. ვ. გოილაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ. 1981
5. ს. გიორგაძე, წერილი იოსებ ყიფშიძეს, ვუთითებ ს. ჯორბენაძის [41] მიხედვით.
6. კ. გრიგოლია, დიდი მოძღვარი, მნათობი, 1976. №8
7. მ. დუმბაძე, ივანე ჯავახიშვილის ადრინდელი შემოქმედება (1898-1912 წწ.) თბ. 1984
8. გ. თარხნიშვილი, პატარა მოგონება დიდ ადამიანზე, კრებული მიძღვნილი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბ. 1977
9. გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, თბ. 1930
10. გ. იოზაშვილი, ივანე ჯავახიშვილი და ისტორიული კვლევა-ძიების ზოგიერთი მეთოდოლოგიური საკითხი „სკოლა და ცხოვრება“, 1976 №11
11. ა. კიკვიძე, ივანე ჯავახიშვილი და საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, კრებული მიძღვნილი აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი თბ. 1977
12. გ. ლომთათიძე, ივანე ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია საქართველოში. „მომომხილველი“, ტ. II. 1951
13. მ. ლორთქიფანიძე, რედაქტორისაგან, იხ. ივ. ჯავახიშვილი; თხზ. 12 ტომად ტ. VIII თბ. 1977
14. პ. რატიანი, ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხებისათვის. კრ.: ქართული ისტორიოგრაფია, თბ. 1968.
15. გ. ყორანაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, თბ. 1999
16. გ. ჩიტაია, პირველი რედაქტორისგან, იხ. ივანე ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად ტ. XI თბ. 1998
17. შ. ხიდაშელი, ივანე ჯავახიშვილი, განთიადი, 1976 №4
18. ნ. ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან „მნათობი“, 1975 №7
19. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზ. 12 ტომად, ტ. I თბ 1979
20. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზ. 12 ტომად,

- ტ. III თბ. 1982
21. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, თხზ. 12 ტომად, ტ. IV თბ. 1996
22. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, თხზ. 12 ტომად, ტ. VI თბ. 1982
23. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლა. წიგნი I, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა» თხზ. 12 ტომად, ტ. VII თბ. 1977
24. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თხზ. 12 ტომად, ტ. X თბ. 1992
25. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები თხზ. 12 ტომად, ტ. XI თბ. 1998
26. ივ. ჯავახიშვილი, დამოკიდებულება საქართველოსა და რუსეთს შორის, თხზ. 12 ტომად, ტ. XII თბ. 1998
27. ივ. ჯავახიშვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თხზ. 12 ტომად, ტ. XII თბ. 1998
28. ივ. ჯავახიშვილი, აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოსა და სომხეთის ისტორიის ამოცანები, თხზ. 12 ტომად, ტ. XII თბ. 1998
29. ივ. ჯავახიშვილი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. იხ. ივანე ჯავახიშვილი ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები თბ. 1956 წ.
30. ივ. ჯავახიშვილი, შოთა რუსთაველი და მისი ეპოქის გამოფენა. იხ. ივანე ჯავახიშვილი ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები თბ. 1956 წ.
- 30-ა. ივანე ჯავახიშვილი, რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი». იხ. ივანე ჯავახიშვილი ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები თბ. 1956 წ.
31. ივანე ჯავახიშვილი, ბრძოლა საქართველოს . . . თსუ შრომები, I (138). 1971 წ.
32. ივანე ჯავახიშვილი, წარსულის ფურცლები: პირადი მიმოწერა, შეადგინა ედიშერ ხოშტარია-ბროსემ თბ. 1996 წ.
33. ივანე ჯავახიშვილი, გაზეთი „უნივერსიტეტი», 27.X.1976 წ.
34. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივი, № 343-II
35. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივი, № 665
36. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივი, №1452
37. ივანე ჯავახიშვილის პირადი არქივი, № 1491
- 37-ა. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის. ივანე ჯავახიშვილის საერთო რედაქციით, თბ. 1976 წ.

38. ო. ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილი (ბიოგრაფიის მივიწყებული ფურცლები), თბ. 1996 წ.
39. მ. ჯანაშვილი, ვუთითებ ს. ჯორბენაძის მიხედვით [41, 170]
40. ს. ჯანაშია, ივანე ჯავახიშვილი, იხ. ს. ჯანაშიას შრომები V. თბ. 1987
41. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ. 1984 წ.
42. Т. В. Гамкrellidze, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и Индоевропейцы. Т. I-II Тб. 1984.

## სარჩევი

შესავალი;

1. ივანე ჯავახიშვილი ისტორიკოსის პროფესიის შესახებ;
2. ივანე ჯავახიშვილი ევროცენტრიზმის წინააღმდეგ;
3. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მეთოდის მომარჯვების შესახებ;
4. ივანე ჯავახიშვილი წერილობითი წყაროების შესახებ;
5. ივანე ჯავახიშვილი ენობრივი მასალის საისტორიო წყაროდ გამოყენების შესახებ;
6. ივანე ჯავახიშვილი ეთნოგრაფიული მასალების ჩაწერისა და საისტორიო წყაროდ გამოყენების შესახებ;
7. ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისი სიტყვაკაზმული მწერლობის საისტორიო წყაროდ გამოყენების თაობაზე;
8. ივანე ჯავახიშვილი ყოფითი რეალიების წერილობით წყაროებში დაფიქსირების შესახებ;
9. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მუშაობის მეთოდები;
10. ივანე ჯავახიშვილის ქართული;
11. ივანე ჯავახიშვილის პიროვნება;  
დასკვნის მაგიერ;  
მითითებული ლიტერატურის სია;  
სარჩევი.